# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 20 აგვისტო 1998 №146 (681) ფასი 40 თეთრი


# უკრაინამ სარკეში ჩაგვახედა

## უკრაინა 4
## საქართველო 0

კიევის ზეცამ ჯერ მზრუნველი დიასახლისივით მსუბუქად დაგვნამა, მაგრამ ცოტა ხანში ზედმეტი მოუვიდა და უკრაინულმა ეშმაკის მანქანამაც, წინ და უკან მონდომებით რომ დაქშიტინებდა, პირწმინდად დაგვაუთოვა.

ვახტანგ ბზიკაძის კიევური რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე

REUTERS კიევიდან



გუსინთან ბრძოლაში ბურთი ვერც კალაძემ (№5) მოიგერია და ვერც ტოგონიძემ მოიხელთა

REUTERS ბუდაპეშტიდან



100 მეტრზე რბენაში უბადლო კრისტინ არონი

## შავი ლამაზმანის ევროპა

BUDAPEST '98

მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღე თვალწარმტაცი სანახაობებით აღსავსე გამოდგა. ყველაფერი იხილა იმ დღეს ბუდაპეშტის ულამაზეს სტადიონზე შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა: უნგრელი უროს მტყორცნი ვაჟების ტრიუმფი, შუბოსან ქალთა უმძაფრესი პაექრობა, ირლანდიელი ქალის, სონია ო'სალივანის 10 ათას მეტრ დისტანციაზე ბრწყინვალედ გამარჯვება და თვით 100 მეტრზე მორბენალი ფრანგი ლამაზმანის, კრისტინ არონის მიერ დამყარებული ევროპის ახალი რეკორდი.

გუშინ პირველობაზე მედლების ექვსი კომპლექტი გათამაშდა და მათ შორის უდავოდ მთავარი ყურადღება 100 მეტრზე გარბენებისკენ იყო მიმართული. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ ამ დისტანციაზე ფინალური შეჯიბრებები ნებისმიერი გაქანების მძლეოსანთა ტურნირის მშვენებაა და ქომაგები უდიდეს სიამოვნებას სწორედ მსოფლიოს უსწრაფესი ათლეტების ხილვით იღებენ. თანაც წელს საყოველთაო ინტერესი იმითაც იყო განპირობებული, რომ ისევე როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა ტურნირზეც დღესდღეობით თითქმის უძლიერეს შემადგენლობას მოეყარა თავი, რაც კიდევ უფრო აძნელებდა სავარაუდო გამარჯვებულის ამოცნობას და შესაბამისად დამატებით სტიმულს სძენდა ასპარეზობას.

იხილეთ მერვე გვერდი

REUTERS ბუდაპეშტიდან



სონია ო'სალივანის გამოცდილებას ოქროს ფასი აქვს

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ბათუმის „დინამოსა“ და ბელგრადის „პარტიზანს“ შორის 27 აგვისტოს ბათუმში გასამართ თასების მფლობელთა თასის გათამაშების საპასუხო მატჩზე აკრედიტაციისთვის 23 აგვისტომდე უნდა მიმართოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას.

## EURO 2000
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

### IX ჯგუფი

**ბოსნია 1:0 ფარერები**

1:0 ბალჯიჩი (65)

ბოსნია: დედიჩი, კაპეტანოვიჩი, ბარბარესი (მუიჟა 75), კონჯიჩი, ვარესანოვიჩი, ჰიბიჩი, ბოლიჩი (მუჩინი 65), ჰალილოვიჩი, კოდრო, სალიჰამიჯიჩი (საბიჩი 81), ბალჯიჩი

ფარერები: ნიკელსენი, ჰ. ჰანსენი, ი. ჰანსენი, ტორსტენსონი, იოჰანსენი, იანსკორი, იონსენი, ჯონსონი, მორკორი, არჯე (ბორგი 77), პეტერსენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ბოსნია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ლიტვა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| შოტლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*5.09. ბოსნია — ესტონეთი; ფარერები — ჩეხეთი; ლიტვა — შოტლანდია*

## ამხანაგური მატჩები

**ნორვეგია 0:0 რუმინეთი**

**ავსტრია 2:2 საფრანგეთი**

0:1 ლასლანდი (16), 1:1 ჰაასი (42), 2:1 ვასტიჩი (76პ), 2:2 ბოგოსიანი (84)

საფრანგეთი: ლამა, ვაირელი, ლებეფი (გომა 79), ტურამი, ლიზარაზუ (კანდელა 46), კარემბუ, დეშამპი (დეუ 46), ზიდანი (ჯორკაეფი 46), ბოგოსიანი, ანრი (პირესი 65), ლასლანდი (მორისი 81)

**შვედეთი 1:0 რუსეთი**

1:0 პეტერსონი (3)

**ჩეხეთი 1:0 დანია**

1:0 რადა (8)

**სლოვაკეთი 0:0 ფინეთი**

**პორტუგალია 2:1 მოზამბიკი**

1:0, 2:0 რუი კოშტა (55, 58), 2:1 არტური (77)

**კვიპროსი 3:2 ალბანეთი**

0:1 ჰაქსლი (59), 0:2 ბუში (60), 1:2 ენგომიტისი (61), 2:2 იოახიმი (82), 3:2 იოანუ (89)

# უკრაინამ სარკეში ჩაგვახედა

ამხანაგური მატჩი.
19 აგვისტო. კიევი. ოლიმპიური. 8 000 მაყურებელი

## უკრაინა 4:0 საქართველო

1:0, 2:0 რებროვი (2, 42), 3:0 სკაჩენკო (57), 4:0 მაქსიმიუკი (75)

ვახტანგ გზირაძე
კიევიდან



ბოლოდროინდელ მეტოქედ საქართველოს ნაკრებს რუსეთი ჰყავდა. ყოფილ საბჭოელებთან ზედმეტად ამხანაგურმა მატჩმა ეჭვი შვა, უკრაინაშიც საჩვენებელი გამოსვლა ხომ არ შედგებაო. ჩვენს ბიჭებს ეს, იქნებ, ხელსაც აძლევდათ, მაგრამ უკრაინელებმა გვიმუხთლეს, გუშინ დაუნდობლად გაგვისწორდნენ. თავიდანვე გეტყვით, რედაქციისა და მკითხველის წინაშე გასასტუმრებელი ვალი რომ არა, მე, როგორც თავმოყვარე ქართველს, შუა თამაშიდან გაპარვა მერჩია. არაფერია იმაზე დამამცირებელი, უთანასწორო ბარძოლაში გამარჯვებულ მეტოქეს წარმატება რომ უნდა მიულოცო.

ასეთი რა მოხდა, რვამატჩიანი, წაუგებელი სერია ძვირად ნანახი დიდანგარიშიანი მარცხით რომ შევწყვიტეთო, იკითხავთ. მიზეზებზე დღეს მოკლედ და ცოტა ქვემოთ, მერე კი უფრო ვრცლად და დეტალურად გეტყვით. თუმც მანამდე თავად მატჩზე მოგახსენებთ, უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგიქმნათ.

პრაღის „სპარტასთან“ მარცხნაწვენევი კიევის დინამოელებით დაკომპლექტებული და პოლონეთთანაც შერცხვენილი უკრაინის ნაკრები მართლაც რომ არ გახლდათ ამხანაგობის ხასიათზე. ქართველებს ხეირიანად სალამიც არ გაეთავებინათ, რებროვი მიუხტა ტოგონიძეს და ჩვენი გუნდი ბეჭებზე დასცა.

უკრაინულ ფეხბურთში თითქოსდა ყველაზე უკეთ გათვითცნობიერებულმა კალაძემ წმინდა ქართული შეცდომა დაუშვა — საჯარიმოდან ბურთი ბრმად, უმისამართოდ მოიგერია და ლუჟნის საკბილო გახადა. უკრაინელთა კაპიტნის პასი კოსოვსკის გავლით საჯარიმოში შეჭრილ რებროვს მიუვიდა, რომელმაც შორიახლოს მყოფი ქართველი მცველებიც უპრობლემოდ ჩამოიცილა და ტოგონიძესაც დროული დარტყმით გაუტანა. გგონიათ, ქართველებს სალამი ამით გააწყვეტინეს? მანამდე ერთი საგოლე მომენტიც ჰქონდათ უკრაინელებს. თითქოსდა გატანილზე უფრო ნაღდიც და მწვავეც, მაგრამ დიდავასთან ფლანგურ ბრძოლაში მიკიტინის მოპოვებული კუთხური ვერ შეიშნოვეს. ლვოვის კარპატელმა ბურთი თავისსავე ბაქანში მჯდომ ტოგონიძეს ვერ ააცილა.

მოკლედ, მასპინძლებმა მალევე მიახვედრეს სტუმრები, სახუმაროდ და სალაზუცოდ რომ არ ეცალათ. ადრიანი გოლი ყოველთვის შეურაცხმყოფელია და ამან, ცხადია, ჩვენებურებზეც იმოქმედა. მინდორზე მყოფები რა სათქმელია და, მთელი სათადარიგო შემადგენლობა, ვიდრე მეოთხე მსაჯმა არ შენიშნა, გუცაევის მსგავსად 15 წუთს ფეხზე მდგომი და დაძაბული ადევნებდა თამაშს თვალყურს.

კი გვევალებოდა მეტი, მაგრამ მე-8 წუთამდე საქმე ქინქლაძის ცეკვაზე შორს არ წასულა. ეფექტურ, ძნელად შესასრულებელ ილეთთა კასკადი კი შეოვკოვსკისკენ ულონოდ გაშლილი ფეხით დასრულდა. მასპინძელთა მეკარემაც გიოს სუსტი დარტყმა საკმაოდ იოლად აიღო. წუთის შემდეგ უკრაინელთა კარის დარაჯი ნამდვილად ულონო იქნებოდა, იაშვილს ჯამარაულის კარგი პასი რომ შეერგო. იაშკამ გიოს მისსავე საფირმო დარტყმის შესრულებისას ჯეროვნად ვერ წაჰბაძა — წინ გამოსულ შოვკოვსკის მოუხომელი აბრაგანი დაურტყა და ორივეს, კარსაც და მის დარაჯსაც გვარიანად გადააცილა.

მეტს არ ვიმსახურებდით და ბუნებამაც დაგვსაჯა. კიევის ზეცამ ჯერ მზრუნველი დიასახლისივით მსუბუქად დაგვნამა, მაგრამ ცოტა ხანში ზედმეტი მოუვიდა და უკრაინულმა ეშმაკის მანქანამაც, წინ და უკან მონდომებით რომ დაქშიტინებდა, პირწმინდად დაგვაუთოვა. ოლიმპიური სტადიონის მაქსიმალური ზომის მინდორზე, რომელსაც სპირალურად ხვეული 40-კილომეტრიანი გათბობის სისტემა აქვს, უკრაინელებს, მგონი, მეტრიც არ დარჩენიათ გაუტკეპნავი (გაუტკიცინებელი).

და მაინც, იღბლით თუ მონდომებით ჩვენი ნაკრები შესვენებაზე იმედიანად აპირებდა წასვლას. საშუალედო სასტვენს სამი-ოთხი წუთი აკლდა, რებროვმა წინ გვარიანად გამოსული ტოგონიძისკენ რომ გაიწია. ნიკაც უკუსვლით სასწრაფოდ გაეშურა კარისკენ, მაგრამ მომხვდურს მზად ველარ დაუხვდა. დაცვამაც მასპინძელთა ფორვადს ხელი ვერაფრით შეუშალა და მეორე გოლიც გავიდა. ესეც თქვენი თავი და ბოლო. ჩვენთვის ხომ ტაიმის ეს დრო სავალდებულო ჯერ სულაც არ არის. მატჩის მეორე ნახევარში უკრაინელებმა შუაწელშიც შეგვამოწმეს და შეგვარცხვინეს. ჯერ სკაჩენკომ კუთხური ჩაწოდებისას თავური უპრობლემოდ გაიტანა, მერე მაქსიმიუკმა შორეული დარტყმით გაგვიგრძელა წამება.

სხვა მომენტებს ველარ ალვწერ. მასპინძლებისას თვლა არ ჰქონდა, ჩვენი ერთი-ორი და უკბილო კი რა სათვალავში ჩასაგდებია.

აი, მარცხის მიზეზზე კი ჩემი აზრი უნდა მოგახსენოთ.

რომ ვთქვა, ნაკრებში თამაშისას ბიჭები კლუბებში დაგირავებულ ფეხებს უფრთხილდებიანო, საწყენად დარჩებათ. არადა, მთელს მატჩში, სანახევროდ თავსხმა წვიმაში რომ გაილია და საამსაქმოდ ზედგამოჭრილი იყო, ქართველებმა ორი ხეირიანი „პადკატი“ თუ გააკეთეს. ეს კი, რაგინდ გასაკვირად უნდა დაგირჩეთ, თითოჯერ ქინქლაძემ და ჯამარაულმა მოიმოქმედეს.

ჰო, ზაზა ჯანაშიას ხელი მოუტეხია და „შინიკთან“ მთელ მატჩს მაინც ატარებს, კიევში კი არ ჩამოდის. შოთა არველაძე კი აქაა, მაგრამ კვირას ჰოლანდიურ სუპერფინალში მშვენივრად რომ გაისარჯა, საზარდულს შეუწუხებია.

მთავარი კლუბია. იქ სადაც ფულს იხდიან და მუსიკასაც უკვეთენ, ჩვენი ბიჭები სხვის დაკრულზე კარგად ცეკვავენ. ნაკრებისთვის კი, ნურას უკაცრავად, თავს ცოტა თუ იწუხებს. ამათაც, მარტოთ, რა გამოუვათ. 0:4, თანაც ნაკლებ სამარცხვინოდ, ჩვენში შეშებისად მონათლულმა „სკონტომ“ წააგო კვირის წინ „ინტერთან“. განა შეიძლება ლატვიელთა და ქართველთა შედარება? ან უკრაინელებს დააყენებთ მილანელთა გვერდით? რა, „სკონტოს“ ვლადიმერ გუცაევზე უკეთესი მწვრთნელი ჰყავს. თუ ჩვენზე ნიჭიერი მოთამაშენი?..

ეს მატჩი ტაქტიკურად არ წაგვიგია. არც მხოლოდ ფიზიკურად, როგორც მატჩის შემდეგ გუცაევის თანაშემწე სერგო კუტივაძემ განაცხადა. ცხადზე ცხადია, ნაკრებში თამაში ბევრს სულაც არ ეამაყება. მსგავსი და კიდევ პასუხისმგებლობის თუ საქვეყნოდ ვალის შეგრძნება, მგონი, მხოლოდ თემურ ქეცბაიას გააჩნია.

ვინ უნდა გვჯობდეს ასე ძლიერ ერთსულოვნებაში, უკრაინა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა, ხეირიანად ისტორიკოსებმა თუ იციან, როდის და რახანს ჰქონდათ? არ ვიცი!..

არავინ ამბობს, თორემ, ცხადია, მატერიალური სტიმულის უქონლობაც მოქმედებს ფეხბურთელებზე. დღეს ბევრი ისეთ ჭკუაზე დადგა, პრემიალურს რომ არ გიხდიან, ისეთ მატჩში ფეხს მოსატეხში არ ჩაჰყოფს. და, რა, სულელები არიან ხორვატები, სანაკრებო გასამრჯელოზე თავიდანვე რომ თქვეს უარი? კი ველარ გახდნენ მსოფლიოში მესამენი! რა, ჩინურია თითქოსდა გასაგები კირილიცა ჩვენებურთათვის, აქაურ ქუჩებში მარჯვნივ-მარცხრივ გამოკიდული სარეკლამო დევიზი — „გრაემო ზა უკრაინუ რაზომ“?

ჩვენ როდესღა უნდა ვითამაშოთ საქართველოსთვის?!

**უკრაინა**

1. შოვკოვსკი
4. გოლოვკო
3. ევტუშოკი, 5. ვაშჩუკი, 2. ლუჟნი
7. მიკიტინი, 6. გუსინი, 9. კოსოვსკი
8. კალიტვინცევი
10. შევჩენკო, 11. რებროვი

**საქართველო**

11. იაშვილი, 10. ქინქლაძე
6. კობიაშვილი, 8. ჯამარაული, 9. ქეცბაია
7. ნემსაძე
3. შეყილაძე
2. ცქიტიშვილი, 5. კალაძე, 4. დიდავა
1. ტოგონიძე

შეცვლა: კოსოვსკი — 16. მაქსიმიუკი (42), შოვკოვსკი — 12. ვორობიოვი (46), ევტუშოკი — 17. კოვალიოვი (46), კალიტვინცევი — 20. სკაჩენკო (46), ტოგონიძე — 12. გვარამაძე (46), ნემსაძე — 15. წერეთელი (46), იაშვილი — 14. დემეტრაძე (61), ლუჟნი — 13. სტაროსტიაკი (70), დიდავა — 13. სილაგაძე (73), რებროვი — 18. კონოვალოვი (76)

გაფრთხილება: კალაძე, შეყილაძე, ქეცბაია

მთავარი მსაჯი: რ. ლაიუკსი (ლატვია)



REUTERS კიევიდან

კიეველები რომ შეტევისას ლაღობდნენ, ფოტოზე აღბეჭდილი შევჩენკოსა და შეყილაძის ეს ბრძოლაც ადასტურებს

# ბილბაოშიც სიწყნარეა

**ატლეტიკი 1:0 რომა**

1:0 ესკერო (38)

**ატლეტიკი:** ი. ეჩებერია, ალკორტა, გერერო, ესკერო, ლა კრუსი, კარლოს გარსია, ხოსე მარი, ხ. ეჩებერია, ალკისა, ლასა, ურსაისი

მაშინ, როცა თბილისის „დინამო“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე „ატლეტიკთან“ განმეორებითი მატჩისთვის ემზადება, როცა თბილისელებმა რუსთავის „მეტალურგთან“ კალენდარული თამაშის გადადება მოითხოვეს, ბილბაოელი ფეხბურთელები ბასკეთში იტალიურ „რომას“ ამხანაგურად გაუსწორდნენ და ქართველებამდე კარგი განწყობაც შეიქმნეს — რომაელები ესკეროს გოლით 1:0 დაამარცხეს.

ამ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი წუხელ იტალიური „რაიტრემაც“ გადმოსცა და, ალბათ, ბილბაოელთა თამაშმა ჩვენებური მწვრთნელებიც ჩააფიქრა.

პირველები და თვალშისაცემი „რომასთან“ მატჩში მარჯვენა ჰავბეკი ხოსება ეჩებერია გახლდათ, რომელმაც უამრავი ხიფათი შეუქმნა სკიმენტის კარს და ის, 38-ე წუთზე შეგდებული გოლიც სწორედ მისი აქტიურობის შედეგად დანიშნულ კუთხურს მოჰყვა, რომელიც ბილბაოელთა მეორე, ძალიან სახიფათო და ეროვნული ნაკრების წევრმა გერერომ ჩააწოდა. ესკერომ კი ისარგებლა სტუმარი მცველების დაუდევრობით და ჭვინტის კვრით ანგარიშიც გახსნა. „დინამოს“ მეტოქეს ამის შემდეგაც მრავლად ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ თავდამსხმელები სცოდავდნენ ხოლმე.

ახლა, ბილბაოელთა ნავაჟკაცარის აღწერას აღარ შევუდგებით, მხოლოდ იმას გეტყვით, თუ რა ძლიერი და სუსტი წერტილები გვენიშნა „ატლეტიკის“ თამაშში: პირველი, რისი გათვალისწინებაც მურთაზ ხურცილავას მოუწევს, მარჯვენა ფრთა და იქ მოთამაშე ხოსება ეჩებერიაა. უზადო ტექნიკითა და საკმაო სისწრაფით გამორჩეული ფეხბურთელი თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს ჩვენებმა, მისგან დიდ ხიფათს უნდა ველოდოთ. ასევე სახიფათოა ცენტრალური თავდამსხმელი, 20-ნომრიან მაისურიანი ურსაისი, რომელიც მიუხედავად აყლაყუდობისა, ბურთს კორპუსით მშვენივრად ფარავს და ტექნიკაც არ დაეწუნება. პარტნიორები მისკენ მიმართავდნენ ბურთებს მოედნის ცენტრიდან და მერე სწრაფად ეშველებოდნენ კიდეც. კიდევ ის, რომ „ატლეტიკის“ დაცვა არაა მთლად ისეთი, რომლის გარღვევაც თბილისელებისთვის ოცნება იქნება. განსაკუთრებით, პოზიციურ თამაშში მათი მარჯვენავე მცველი ლა კრუსი მოიკოჭლებს, „ატლეტიკისა“ არ იყოს, „რომაც“ ძირითადად იქიდან უტევდა მასპინძლებს. ფერნანდესის ბიჭები ვერც დაცვის ცენტრში გონივრულობით დაიტრაბახებენ, დი ბიაჯო — ტომაზი ხშირად ნახულობდნენ ხვრელებს მათ ორ შუა მცველს შორის. ერთი ორჯერ კი სასწაულებრივადაც ვერ გაიტანეს.

და მაინც, გუშინ „ატლეტიკმა“ თითქმის ისეთივენაირად ითამაშა, როგორც ერთი კვირის წინ პაიჭაძის სტადიონზე. ისინი ხშირად აწვდიდნენ ბურთს მეტოქის საჯარიმოში და თავით კარგად მებრძოლი ფეხბურთელების იმედად იყვნენ. თუმცა, მხოლოდ ამის აღნიშვნაც არ ეგების, მათ ერთშეხებიან გადაცემებსაც ნუ დავივიწყებთ, რომელიც „სპარტაკის“ სტილში გამოსდით ხოლმე. ძირითადი ესაა და ისიც, რომ ბილბაოელი ქომაგები, თბილისელებისა არ იყოს, რატომღაც ჩუმად იყვნენ, არ ხმაურობდნენ, ეს კი, დაგვეთანხმებით, ჩვენთვის კარგის მაუწყებელია. ბასკ ფეხბურთელთაგან „რომასთან“ მატჩში ესკერო, ეჩებერია და გერერო გამოირჩეოდნენ.

**არჩილ ბალათურია**

# ჩვენებს პოტენცია არ დაეწუნებათ

საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრები ბულგარეთიდან დაბრუნდა. ჩვენი გუნდი ოთარ შეგელიას თავკაცობით ორკვირიან შეკრებას გადიოდა ქალაქ ვარნაში. მოგეხსენებათ, ოქტომბერში ევროპის ჩემპიონატი იმართება ავსტრიაში, სადაც ჩვენი თექვსმეტწლამდელებიც მიიღებენ მონაწილეობას. ისინი აზერბაიჯანელ, ავსტრიელ და ბერძენ თანატოლებთან იასპარეზებენ. ეს შეკრებაც საევროპოდ ნაკრების ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად.

სწორედ ვარნაში ყოფნის პერიოდზე გავესაუბრეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ოთარ შენგელია.

—ბულგარეთში მომზადების საუცხოო პირობები გვქონდა — თქვა მან — ამ ხნის მანძილზე სამი საკონტროლო შეხვედრაც გავმართეთ. ვარნის „ჩერნომორეცთან“ 0:3 დავმარცხდით, შემდეგ ამავე გუნდის ახალგაზრდულ შემადგენლობას ვძლიეთ 3:1 და ბოლოს 2:4 წავაგეთ იმავე ქალაქის „სპარტაკთან“.

**— შედეგი არცთუ შთამბეჭდავია...**

— გეთანხმებით, მაგრამ აქ მთავარი შედეგი არ არის. ძირითადად 2-3 წლით უფროსებს ვეთამაშებოდით, თანაც ექსპერიმენტებსაც მივმართავდით. ამ შეხვედრებშიც რამდენიმე ტაქტიკური მონახაზი მოვსინჯეთ და საერთო ჯამში კმაყოფილიც დავრჩი. ამ დონის შეკრებები აუცილებელია ჩვენი ნაკრებისთვის, რამდენად ნაყოფიერი გამოდგა იგი, ამას ევროპის ჩემპიონატი გამოაჩენს.

**— საევროპო სამზადისს ალბათ კვლავ გააგრძლებეთ...**

—რა თქმა უნდა, დაგეგმილი გვაქვს კიდევ ერთი შეკრება მალაიზიაში. თანაც, მოგეხსენებათ, საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფშიც ვასპარეზობთ და, ვფიქრობ, იქ ჩატარებული შეხვედრებიც დიდ სამსახურს გაგვიწევს სამომავლოდ.

**— ავსტრიაში რა შედეგებს უნდა ველოდეთ?**

— დღევანდელი ნაკრების პოტენციიდან გამომდინარე, პირველი ადგილის დაკავება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**— ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?**

— არა. დარწმუნებული ვარ, ავსტრიაში სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ და ჩემპიონები გავხდებით.

უდავოდ მისასალმებელია ბატონ ოთარის ოპტიმიზმი. რამდენად რეალურია იგი, ამას დრო გვიჩვენებს. სერიოზული შედეგების მიღწევას დაუღალავი შრომა სჭირდება, თორემ ცარიელი სიტყვები და დაპირებები აქამდეც ბევრი გვსმენია.

დაბოლოს, ბულგარეთში ჩვენი ნაკრები შემდეგი შემადგენლობით ემზადებოდა: კოდალაევი, თარხნიშვილი, გადაბაძე, ნემსაძე, მიქავა, სამხარაძე, ცხოიძე, მელია, თუშიშვილი, ლაბაძე, ქესაშვილი, სახურია, ჩივაძე, სალარეიშვილი, ნორაკიძე, ოლგესაშვილი, მელიქა, ახალაია, გეგუჩაძე, ალაჰვერდოვი, ლომსაძე. ეს ის ძირითადი ბირთვია, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას.

**პაატა ქვანტალიანი**

# რას მძებთ სამყაროს მიღმა?

18 აგვისტოს „სარბიელმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „არის ბათუმში კადრები! უკადრებელის მკადრეები“, სადაც აღწერილი იყო, თუ რა შეემთხვა „სარბიელის“ კორესპონდენტს ბელგრადში ვოიაჟისას და ის, თუ როგორ მოექცნენ მას „ბათუმის“ დელეგაციის მეთაურები. მათი საქციელი კი იმდენად უკეთური იყო, არ შეიძლებოდა უპასუხოდ დაგვრჩენოდა და ამიტომაც დაიწერა ზემოთ ხსენებული პუბლიკაცია.

თითქოს ყველაფერი ამით უნდა დამთავრებულიყო (ნორმალურ ვითარებაში ასეც მოხდებოდა), ჩვენეულ, შეულამაზებლად ნათქვამ სიმართლეს კი მიმხვედრი უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ ოპონენტებმა გალმა შეედავეს პრინციპი არჩიეს და საპასუხო ოპუსიც უმალ გამოაცხეს. ოპუსს რაც შეეხება, იგი აჭარის ტელევიზიის რუსული განყოფილების ეთერით გადაიცა. მისი მოკლე მონახაზი შეიძლება ასე გადმოვცეთ — კადრში გამოჩნდა ბელგრადული მატჩის წინ მოვარჯიშე „ბათუმი“, მისი დელეგაციის წევრები, მერე კი კამერა „სარბიელის“ კორესპონდენტზე გადავიდა (მეტი მკაფიოებისთვის შავი ჩარჩოთიც შემოხაზეს მისი პერსონა) და... გაისმა წამყვანის სიტყვები — კაკ პოზვოლიაიუტ ტაკიმ პოდონკამ პისატ-ო — დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო მისი გამონათქვამი. მერე კი „პარტიზან“—„ბათუმის“ შეხვედრის ის ორად ორი კინკილა მომენტი უჩვენეს ხალხს, რომელშიც „ბათუმმა“ მოახერხა რაღაც შეტევისმაგვარი და საერთო შთაბეჭდილებაც ისეთი შექმნეს, თითქოს „ბათუმი“ მოგებას თუ არა, ფრეს მაინც იმსახურებდა.

არადა, „ევროსპორტმა“ (ჩვენმა I არხმაც) აჩვენა ეს მატჩი და ვინც უყურა, ყველასთვის ცხადი გახდა, რაოდენ უსუსური და საბრალო იყო „ბათუმი“ ბელგრადში. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ყველაფერი ამ შეხვედრის ჩვენეულ შეფასებას მოჰყვა, მანამდე კი იყო ის, რამაც არამარტო სარბიელელები, ქართული სპორტული მასმედია აღაშფოთა. მკითხველისთვის საქმის არსი ბოლომდე ნათელი რომ გახდეს, შევეცდებით, ყველაფერი სრულად აღვწეროთ.

### რას გვაბრალებენ...

ჩვენი გაზეთის მიმართ ბათუმელთა ბრალდება ორ მომენტს ეფუძნება. პირველი ბათუმელების მწვრთნელის შოთა ჭეიშვილის და „სარბიელის“ დამოკიდებულებაა, მეორე კი „სარბიელის“ მიერ ბელგრადული მატჩის შეფასება.

მივყვეთ ფაქტებს თანმიმდევრულად.

მკითხველისთვის ცნობილია, რომ ბათუმელთა კარის დარაჯი ნიკა ტოგონიძე ერთი ხანობა თითქოს მოსკოვის არმიელთა კლუბში უნდა გადასულიყო. როგორც ოპერატიულ და თავმოყვარე გაზეთს შეეფერება, „სარბიელმა“ მიაწოდა მკითხველს ამის შესახებ ინფორმაცია, მერე კი შოთა ჭეიშვილს დავუკავშირდით, რომელმაც ცივად უარყო ეს ფაქტი. ესეც დავბეჭდეთ და ჩვენი რეზიუმეც თან მივაყოლეთ იმის შესახებ, რომ ვერ გაგვეგო ვინ ცდებოდა — კლუბის მხარე თუ „როიტერი“, როგორც ჩანს, მეტად ეწყინა ჩვენი გამონათქვამი შოთა ჭეიშვილს, რადგან ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე განგვიცხადა, რომ ინტერვიუს მეტად აღარ მისცემდა „სარბიელს“. ერთი სიტყვით — დაგვემდურა.

ვინმესთან უმძრახად ყოფნა აბა ვისთვის რა საამოა და ჩვენც ყოველთვის იმას ვცდილობთ, უმიზეზოდ ნაწყენი და უბრი არავინ დაგვრჩეს. ამიტომაც იყო, ჩავიდა თუ არა „ბათუმის“ დელეგაცია ბელგრადში, „სარბიელის“ კორესპონდენტმაც (ხაზს ვუსვამთ — მან გაზეთის ხარჯებით მოიარა იუგოსლავია და თუ ბათუმელთა ავტობუსით ისარგებლა, ისიც ფეხბურთელთა დაჟინებული თხოვნის შემდეგ) შოთა ჭეიშვილს უბრად ყოფნის მიზეზი ჰკითხა. ეს არავითარ შემთხვევაში არ გახლდათ ინტერვიუს მცდელობა, კობა ინასარიძე სპორტულ ჟურნალისტიკაში გუშინ მოსული არ არის, უბრალოდ ურთიერთობის აღდგენა სცადა. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მოვლენები, ეგებ ჭეიშვილსაც მოებრუნებინა საჩვენოდ გული, მაგრამ აქ საქმეში დელეგაციის ერთ-ერთი მეთაური ჩაერია მეტად უხეშად, ლანძღვასაც არ დაერიდა და, თქმა არ უნდა, პასუხიც საკადრისი მიიღო. ერთი სიტყვით, ბათუმელთა ერთ-ერთი თავკაცის გამო ბელგრადის აეროპორტში დებოში შედგა, მთელი თავისი სილამაზით. მოდავენი ერთმანეთს კი დაშორდნენ (დააშორეს გარეშეებმა), მაგრამ სავალალო ისაა, წინასწარ დაპირებული სავიზო ბეჭდის ჩარტყმაზე ჩვენს თანამშრომელს უარი განუცხადეს და „ბათუმის“ მესვეურებმა პასპორტი უცერემონიოდ გადაუგდეს — აჰა, და თვითონ „იჩალიჩე“ ბელგრადში შესვლაო.

მკითხველმა თავად განსაჯოს, რა ეკუთვნის და რა ჰქვია იმ კაცს, ვინც თვისტომს უცხოეთში ასე მუხთლად და მარტოდ მიატოვებს. უბედურება ისაა, მსგავსი სულის კაცები რომ არსებობენ, თორემ ბელგრადში შესვლის უფლება არ გახლავთ უსაშველო რამ და თუ ამას ვერ მოახერხებდა „სარბიელის“ კორესპონდენტი, არც ამით დაიქცეოდა ქვეყანა. ბელგრადში შესვლა კი მაინც შეძლო სარბიელელმა. შეძლო ისევ თვისტომის, ქართველი ექიმის დახმარებით. ამის შემდეგ სულ მთლად გარიყეს ჩვენი მეგობარი დელეგაციის მეთაურებმა (სამდურავი მხოლოდ ტექნიკურ პერსონალს და ფეხბურთელებს არ ეხებათ), ის კი არა, საუზმობაც (რომელიც ნომრის ღირებულებაში შედის და რომელსაც სასტუმროს კლიენტურა ერთსა და იმავე დარბაზში და ერთსა და იმავე დროს იღებს) მარტოს უხდებოდა სარბიელელს. შოთა ჭეიშვილთან მისი ურთიერთობა კი მთელი ბელგრადული ვოიაჟის მანძილზე ერთადერთი შეხვედრით შემოიფარგლა — როცა ბათუმელთა მწვრთნელს ჩვენმა კოლეგამ „პარტიზანის“ სავარაუდო შემადგენლობა გადასცა (სხვათა შორის, ეს შემადგენლობა 95 პროცენტით გამართლდა). სხვა შემთხვევაში ჭეიშვილი კვლავ გაბუტული კაცის იერს ინარჩუნებდა. დელეგაციის მეთაურებმა კი, სულო ცოდვილო, უბრალო გაუგებრობა იყოო — მოიბოდიშასავით მოგვიანებით. დამთავრდა თამაში, ჩვენი გუნდის გარდანქეშანობაც მთელმა მსოფლიომ იხილა „ევროსპორტის“ მეშვეობით და „სარბიელის“ შესაბამის ნომერშიც შესაბამისი შეფასება მიეცა. კონფლიქტი მოსკოვში, ვნუკოვოს აეროპორტში გაგრძელდა. „ბათუმის“ დელეგაციამ „სარბიელი“ შეიძინა, რეპორტაჟიც იხილა და პრეტენზიებიც უმალ გაუჩნდა. თუმცა ქურდს ქუდი ეწვისო — იმისი არ იყოს, სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდათ და მალევე გაჩუმდნენ. ალბათ ყოველივე აღარ გამწვავდებოდა, რომ არა აჭარის ტელევიზიის რუსული განყოფილების ერთ-ერთ ჟურნალისტს, ვინმე დუმბაძეს არ წამოეყო თავი — ეს რა დაგიწერიათ, ეს როგორ იკადრეთო — და ჩვენი კორესპონდენტის საქციელი საკმაოდ უხერხული სიტყვით შეაფასა. როგორც პირველი კონფლიქტისას, ხურდა ახლაც საკადრისი დაუბრუნა სარბიელელმა დუმბაძეს, თანაც ბელგრადისგან განსხვავებით, მოსკოვში „გაბედეს“ დელეგაციის წევრებმა ჩარევა და ჩვენს მეგობარსაც მარტოს მოუხდა ათ კაცთან „საქმის გარჩევა“.

თბილისში დაბრუნებული თანამშრომლის მონაყოლმა, რა თქმა უნდა, ჩვენც აგვაღელვა. ეს არ არის უბრალო კონფლიქტი. დელეგაციის მეთაურებმა და „ბათუმის“ მწვრთნელმა „სარბიელის“ მიმართ გამოავლინეს უპატივცემლობა, ეს კი არავის შერჩენია და არც არავის შევარჩენთ.

ბუნებრივია, ჩვენს ვაი-კოლეგა დუმბაძეზეც ხამს ორიოდ სიტყვის თქმა.

### (ენას) გიწუნებთ, დუმბაძევ!

დუმბაძე იმიტომ არ არის მართალი კაცი, რომ სიმართლის დამწერს პატივს არ სცემს (ვინ-ვინ და, ჟურნალისტმა კი უნდა იცოდეს, რომელი პუბლიკაციაა მართალი და რომელი გასაკრიტიკებელი).

მეორეც — დუმბაძეს ისიც ძალიან ეშლება, რომ კოლეგიალობის გრძნობას არად აგდებს.

გვახსენდება, ბათუმის „დინამო“ შოტლანდიურ „სელტიკს“ რომ ხვდებოდა — რა სიტყვებით და პუბლიკაციებით არ შეგვიმკეს სქოთმა კოლეგებმა მზიური აჭარის დედაქალაქი. ზოგი მაშინაც ამოელო ხმა. არადა, რა არ გვაკადრეს:

— იქ, სადაც სამყაროს დასასრულია, დგას ტრაფარეტი წარწერით — ბათუმამდე შვიდი კილომეტრია.

— მთელი ბათუმი წვერგაუპარსავი, ოფლიანი კაცებითა და ძროხებითაა სავსე...

— ბათუმში ყოფნას მირჩევნია, კუჭაშლილი ბეჰემოტის გავაში ვიჯდე...

ეს სულ შოტლანდიელი ჟურნალისტების გამონათქვამებია. მაშინ რატომ არ გამოიდე თავი, დუმბაძევ! ალბათ, მაშინ იმიტომ არ იაქტიურა ამ კაცმა, ძალიან მაღალ ლობედ თუ ეჩვენა სქოთები და შეეშინდა, ხმას ვერ მივაწვდენო. აი, ჩვენს კორესპონდენტს კი მისწვდა. და თუ ნამდვილად ჰგონია ძვირფას კოლეგას, იმ დღეს „ბათუმმა“ კარგად ითამაშა, მართლა სამყაროს მიღმა ყოფილა (აზრით და გონებით, რა თქმა უნდა)...

**სარბიელელები**

# ჩვენი ერონული და ახალგაზრდული...

ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები უკრაინელებთან სტუმრობენ. ხვალ კი ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტური იწყება, რომელიც უნებლიედ ჩვეულზე მეტხანს გაიწელება.

იმ კლუბებს, რომელთაც ნაკრებში ორი ან მეტი ფეხბურთელი ჰყავთ მივლენილი, მოგეხსენებათ, გათამაშების დებულება მატჩის გადადების უფლებას აძლევს.

ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა მყისვე ისარგებლა ამ შესაძლებლობით და 22 აგვისტოს გასვლითი შეხვედრა რუსთავში, ადგილობრივ „გორდასთან“, მომავლისთვის გადადო. ფედერაციამ ჩემპიონთა მოთხოვნას მხარი იმიტომაც დაუჭირა, რომ დინამოელებს ბილბაოში მგზავრობა და ფერნანდესის „ატლეტიკთან“ უწევთ ბრძოლა. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო მატჩის განმეორებითი თამაშისთვის მზადების ბოლო ეტაპის დასრულებას კლუბის ხელმძღვანელები ხომ ბილბაოში აპირებენ.

როდის გაიმართება „გორდა“ — „დინამოს“ მატჩი, ჯერჯერობით უცნობია.

ორი დღით გადაწიეს თავიანთი საშინაო და საგარეო მატჩები თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ და ქუთაისის „ტორპედომ“. თბილისელები სამტრედიელებს და ქუთაისელები ზუგდიდელებს 22 აგვისტოს ნაცვლად 24-ში დაუპირისპირდებიან. „ვიტ ჯორჯიამ“ და „ტორპედომ“ იმავე პრინციპით იმოქმედეს, როგორითაც ჩემპიონებმა. ვეტერინარებს და რიონისპირელებს შესაბამისად ორ-ორი ფეხბურთელი ჰყავთ ახალგაზრდულ ნაკრებში მივლენილი.

ბოლოს კი ერთ ცნობასაც მოგაწვდით, რომელიც გუშინ გაავრცელა ფეხბურთის ფედერაციამ — 21 აგვისტოდან ეროვნული ჩემპიონატის მატჩები, ექვსის ნაცვლად ხუთ საათზე დაიწყება. დღის ხანგრძლივობამ საგრძნობლად იკლო და შუა თამაშში არ ჩამოგვიღამდესო.

**ხვიჩა სანიძიძე**

# მესამე ტური გაიწელა

# ჭედია ოდიშს დაბრუნდა

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ამიერიდან ზუგდიდის „ოდიშს“ ახალი თავკაცი, სოსო ჭედია გაწვრთნის. ქართველ გულშემატკივარს ჭედია სსრ კავშირის ჩემპიონატებიდან ახსოვს, იგი თბილისის „დინამოში“ მეთხე ნომრად თამაშობდა. ეროვნულის პირველი სეზონი ჩაამთავრა თუ არა, უცხოეთს გაეშურა სათამაშოდ. მის შესახებ კარგა ხანს არაფერი გვსმენოდა. მერე იგი საქართველოში დაბრუნდა და უკვე ასაკოვანი ზუგდიდური კლუბისთვის გაისარჯა, თუმც აქაც დიდხანს არ გაჩერებულა და ფეხბურთისთვის თავის დანებებაც გადაწყვიტა. მოგეხსენებათ, წლევანდელი სეზონის საწყის ორ ტურში ოდიშართ ელგუჯა ქომეთიანი ედგა სათავეში, მაგრამ გუნდმა უფერულად და უხეიროდ დაიწყო სეზონი (ჯერ შინ დამარცხდნენ „იბერიასთან“ 0:1, შემდეგ მცხეთაში რკინიგზელებმაც არ დაინდეს 0:3) და მწვრთნელმაც წასვლა არჩია. ზუგდიდური კლუბის ხელმძღვანელებს დიდხანს არ უფიქრიათ, გამოსავალს უმალ მიაგნეს. ამიერიდან გუნდს, როგორც უკვე გითხარით, სოსო ჭედია გაწვრთნის და პირველი გამოცდაც სერიოზულ მეტოქესთან, „ტორპედოსთან“ ექნება ჩასაბარებელი.

**გიორგი ვაშაკიძე**

# დარჩა თუ არა ჯანაშია?!

ქუთაისელთა უსწრაფესი ფორვარდი დავით ჯანაშია ბოლო ცნობების თანახმად, ბელგიურ „ლომელში“ უნდა გადასულიყო. ფეხბურთელის თქმითვე, მან „კოლხეთთან“ მატჩში ბოლოჯერ მოირგო „ტორპედოს“ მაისური და ზუგდიდში გასვლით შეხვედრაში უკვე არ ითამაშებდა.

მიუხედავად ამისა, მოვლენები უსწრაფესად იცვლება. „ტორპედოს“ პრეზიდენტი, ბესიკ ჯიქია ადრეც და ახლაც ცდილობდა მის დაყოლიებას და ეტყობა, საწადელსაც მიაღწევს.

ყოველ შემთხვევაში, ჯანოს გამგზავრება გადაიდო. როგორც შევიტყვეთ, ყველაფერი ბელგიაში გასამგზავრებელი ვიზის დაგვიანებამ გააჯანჯლა. თითქოს ჯანაშიასაც არ მიუწევსო გული ბელგიაში.

ასეა თუ სხვაგვარად, დათო ჯერჯერობით ქუთაისშია და „ტორპედოსთან“ ერთად ზუგდიდს ისიც ესტუმრება.

**ხვიჩა სანიძიძე**

# აბრეზას ფეხმა უმუხთლა

„მერანის“ ერთ-ერთი ლიდერი, სულიკო დავითაშვილი ბულგარეთში, სოფიის ცსკა-ში იმყოფებოდა გასინჯვაზე. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც „აბრეზას“ შესახებ არაფერი გვსმენოდა, ზუსტი ცნობა არც „მერანის“ ხელმძღვანელობას გააჩნდა და ამიტომაც იყო, „დინამო“ — „მერანის“ მატჩზე მაყურებლად მოსული დავითაშვილი შევნიშნეთ თუ არა, უმალვე ვთხოვეთ ბულგარულ ვოიაჟზე მოეთხრო. — სალაპარაკო ბევრი არ მაქვს. სოფიაში ჩასვლისთანავე ფეხი ვიტკინე და ფაქტიურად ვერც კი გავესინჯე. ჯერჯერობით ვერც იმას გეტყვით, სად ვითამაშებ, არც ერთი გუნდის განაცხადში არ ვარო.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## საქართველოს თასის IX გათამაშება 1998-99

პირველი ეტაპი. 1/32 ფინალი

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
| --- | --- |
| **შინერი 1:1 ლოკომოტივი 2** | **ენგური 2:1 სქური** |
| მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი) | მსაჯი: ი. შალამბერიძე (თბილისი) |
| **ჭაბუკიანი 5:0 ალაზანი** | **კოლხეთი 2:0 ოდიში 2** |
| მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი) | მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი) |
| **კახეთი 0:0 ყვარელი** | **სალხინო 3:1 სამეგრელო** |
| მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი) | მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი) |
| **ხალიბი 0:1 შავნაბადა** | **ეგრისი 2:0 კოლხეთი 2** |
| მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი) | მსაჯი: ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული) |
| **დილა 2 2:3 იბერია** | **ბახმარო 2:1 მერცხალი** |
| მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი) | მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი) |
| **თორი 0:1 ივერია** | **შუქურა 3:1 კოლეჯი** |
| მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი) | მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი) |
| **ცხუმი 1:1 საუ** | **სამგურალი 2 3:2 მეშახტე** |
| მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი) | მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია) |
| **დინამო 2 1:0 შსს აკადემია** | **ტორპედო 2 4:1 გაგრა** |
| მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი) | მსაჯი: ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი) |
| **ალგეთი 3:0 სკ იბერია** | **მარგვეთი 2:0 მაღაროელი** |
| მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი) | მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი) |
| **უნივერსიტეტი იბერია 3:1 მრეტები** | **სულორი 4:3 იბერია 2** |
| მსაჯი: ზ. დოლიძე (თბილისი) | მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი) |
| **არსენალი 2 3:2 დინამო 3** | **რიონი 8:0 იმერეთი** |
| მსაჯი: ზ. ხუციშვილი (თბილისი) | მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია) |
| **მესხეთი 0:5 ცხინვალი** | **ფაზისი 3:0 ოკეანე** |
| მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი) | მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი) |

მეორე ეტაპზე, ანუ 1/32 ფინალში გუნდები ისევ ზონური პრინციპით დაწყვილდებიან, ხოლო მესამე ეტაპზე (1/16 ფინალში) პირველჯგუფელებთან ერთად შერეულად.

# სახელის ნუ გვერცხვინება

ამით ქვეყანა არ გამოსწორდება, მაგრამ ვგონებთ, გალამაზდება. გვსურს სიტყვა თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონსა და მასზე გამართულ საერთაშორისო შეხვედრებზე ჩამოვაგდოთ. უფრო ზუსტად, მოდით, გავიხსენოთ, როგორ აცხადებს ინგლისურად, საქართველოს მთავარი სარბიელის ინფორმატორი, ჩვენი გუნდების (ნაკრების თუ „დინამოს“) შემადგენლობებს.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს მას ინგლისურ აქცენტს ვუწუნებდეთ. ინგლისური აქცენტი ინგლისელებს აქვთ, ხოლო ქართველის, ფრანგის თუ უნგრელის საუბარს, ბუნებრივია, სხვა ელფერი ექნება. მეორე საკითხია, რომ ადამიანმა, რომლის პროფესიაც უცხო ენაზე საჯაროდ ლაპარაკს გულისხმობს, სხვასთან შედარებით მეტად უნდა გაამახვილოს ამაზე ყურადღება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი. ამ წერილში ქართველების სახელებს და მათ ინტერპრეტაციას გვინდა შევეხოთ.

ჩვენი აზრი ასეთია: ქართული სახელი უცხოელთა ხათრით არ უნდა გადავასხვაფეროთ. კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით აზრს, რომ საქართველოს ნაკრების გამთამაშებელს ჯორჯ ქინქლაძე ჰქვია, მის თანაგუნდელ თავდამხსმელს კი მაიკლ ყაველაშვილი, არც დინამოელი აშვეთიაა მაიკლი, არც მუჯირი დევიდი და ასე შემდეგ.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ლონდონში, „უემბლიზე“, ინგლის-საქართველოს შეხვედრაში, იქაურმა გამომცხადებელმა ქართველებისთვის აღქმის გასაიოლებლად თავისი ნაკრების შემადგენლობა ასე ჩამოთვალოს: დავით სიმენი, პავლე გესქოინი, თევდორე შერინგემი, მიხეილ ოუენი და სხვა.

ინგლისელ კაცს ინგლისური სახელების ასეთი შეურაცხყოფა აზრადაც არ მოუვა. არც იტალიელი გამოგიცხადებს პავლე მალდინისა და ალექსანდრე დელ პიეროს, ისევე, როგორც ესპანელს არ წამოსცდება ივანე პიცი, ფრანგს ნიკოლოზ ანელკა.

მაშ, იქნებ ჩვენც შევთანხმდეთ, რომ ქინქლაძე გიორგია, ყაველაშვილი კი მიხეილი. აი, მშობლებს ფეხბურთელებისთვის ჯორჯი და მაიკლი რომ დაერქმიათ, მაშინ სხვა ამბავი იქნებოდა.

აქ კონტრარგუმენტად არ გამოდგება, რომ იქ, ინგლისში ჩვენს ბიჭებს თავისებურად იხსენიებენ. მერე რა? ჩვენც მათ ჭკუაზე გადავიდეთ და საკუთარი სახელები დავამახინჯოთ? ესპანელმა რომ თქვას ხორხე ქინქლაძეო, მაშინ რაღა ვქნათ?

ვგონებთ, საკამათო არაფერი უნდა იყოს. აშკარაზე აშკარაა, რომ კაცს საკუთარი სახელის არ უნდა შეგრცხვეს და ვიღაცის ყურის საამებლად იგი იმ ვიღაცის ენაზე არ უნდა გადააკეთო. არ უნდა უთხრა უცხოელს ჩემი ქვეყნის უდიდესი მეფე დევიდ აღმაშენებელი იყოო.

ამ ჯერზე სხვას არაფერს ვიტყვით, რადგან მეტზე საუბარს გარემოც და იგივე ფეხბურთის დონეც სხვა სჭირდება.

**ილია ბაბუნაშვილი**

# რობსონის ეინდჰოვენი ჩრდილში ყოფნას არ აპირებს

ჰოლანდიის წლევანდელი ჩემპიონატი, რომელიც დღეს „ჰერენვენი“ — „ტვენტეს“ მატჩით დაიწყება, ამ ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულთა სამწუხაროდ, ახალ სეზონში ისეთივე ძლიერი შემადგენლობით ვერ დაიტრაბახებს, როგორც ეს განვლილ წლებში იყო.

ეს უპირველესად გუნდებში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა, რომლებმაც თითქმის ყველა ლიდერი, განსაკუთრებით კი „აიაქსი“ და „ეინდჰოვენი“, საგრძნობლად დაასუსტა.

თავად განსაჯეთ, წლეულს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრებში მოასპარეზე 22 ფეხბურთელიდან 18 უცხოური კლუბების ღირსებას იცავს. მათგან 6-მა კი მშობლიური ქვეყანა სულ ახალახან, ზედ ახალი სეზონის დასაწყისში დატოვა.

ყველაზე მეტად სეზონთა შორის განხორციელებული ტრანსფერებით „ეინდჰოვენმა“ იზარალა. გუნდის ხუთი ლიდერი — ფილიპ კოკუ არტურ ნუმანი, იააპ სტამი, ვიმ იონკი და ბუდევინ ზენდენი ინგლისის, შოტლანდიის თუ ესპანეთის კლუბებში გაიფანტნენ, ხოლო მთავარი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი შოტლანდიურ „რეინჯერსში“ გადაბარგდა.

ასეთი სერიოზული დანაკარგის გამო „ეინდჰოვენს“, თუკი რაიმე წარმატების მიღწევა სურს, ისეთივე მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუცევს, როგორც ეს წინა სეზონში ამსტერდამის „აიაქსმა“ გააკეთა. პატრიკ კლუივერტის, მარკ ოვერმარსისა და სხვა ვარსკვლავების წასვლის შემდეგ კლუბმა 10 ახალი მოთამაშე შეიძინა და მათ თავკაცად „ბარსელონაში“ გადასული ლუი ვან გაალის ნაცვლად დანიელი სპეციალისტი მორტენ ოლსენი დაუნიშნა. კაცი, რომელიც მშვენივრად გაუმლვა დაკისრებულ ვალდებულებას და თავის პირველივე სეზონში ქვეყნის ჩემპიონატისა და თასის მოგებით დუბლი შეასრულა.

წლეულს ეინდჰოვენელთა სათავეში მისული ბრიტანელი ბობი რობსონი მსგავსი სქემით ხელმძღვანელობს. მანაც, ოლსენის დარად, კლუბში ათი ახალი ფეხბურთელი მიიყვანა, რომელთა უმეტესობა ლეგიონერია და აქამდე ჰოლანდიაში არასოდეს უთამაშია.

„ტილბურგიდან“ გადაყვანილი ფინელი იონას კოლკა, ასევე მცველები: რუსი იური ნიკიფოროვი, პორტუგალიელი აბელ ქსავიერი, ბელგიელი დევი ოიენი, 18 წლის ბრაზილიელი ჟორჟინიო და მისი თანამამამულე მარკოსი სწორედ ცნობილი ბრიტანელი მწვრთნელის ახალწვეულნი არიან და ის, რომ მათი გვარები მსოფლიოს ვარსკვლავებს შორის არ მოიხსენიება, ბევრს არაფერს ნიშნავს. თავისი სიძლიერე რობსონის თითქმის თავიდან დაკომპლექტებულმა გუნდმა ამ რამდენიმე დღის წინ ჰოლანდიის სუპერთასისთვის გამართულ შეხვედრაშიც დაამტკიცა. „ეინდჰოვენმა“ იმ დღეს „ამსტერდამ არენაზე“ თვით „აიაქსი“ არ დაინდო და 2:0 დაამარცხა.

თავად ბობი რობსონი „ეინდჰოვენში“ უცხო პიროვნება როდია. ამ კლუბმა 1990-92 წლებში სწორედ ბრიტანელის თავკაცობით მოახერხა ჰოლანდიის ჩემპიონობის ორჯერ მოპოვება. გამოცდილი მწვრთნელის მისვლით გამხნევებული ეინდჰოვენელები წლეულს სულაც არ აპირებენ შარშანდელი „აიაქსის“ ჩრდილში ყოფნას. მათ პირველობა სურთ და ამ აბსოლუტურ მიზანს მყარი საფუძველი გააჩნია. კლუბში არიან გამოცდილი მეკარე ვატერეუსი, ნაკრების მოთამაშე ანდრე ოიერი და ბელგიელი თავდამსხმელი ლუკ ნილისი, რომლებსაც შესწევთ ძალა, თანაგუნდელები აიყოლიონ და უმაღლესი მწვერვალები დაიპყრონ.

რაც შეეხება შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორ „აიაქსს“, სიახლე მასაც აქვს. გუნდში მივიდნენ ქართველი ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე, დანიელი იესპერ გრონკიაერი და ბრაზილიელი ვამბერტო კამპოსი. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ მძიმე ტრავმის შემდეგ ფორმა სრულიად აღიდგინა დანიელმა მცველმა, ოლე ტობიასენმა, რომელიც გასულ სექტემბერში დაშავდა და, ფაქტობრივად, მთელი სეზონი გამოტოვა. თუმცა ამსტერდამულ კლუბში მომხდარი სიახლეები ამით არ ამოიწურება: ყველაზე დიდი მოულოდნელობა, რომელიც ქარიშხალივით დაატყდა თავს „აიაქსს“, სეზონის წინ ტყუპი ძმების, რონალდ და ფრანკ დე ბურების მიერ წასვლის თაობაზე გაკეთებული განცხადება გახლდათ.

მოგეხსენებათ, რონალდმა ჯერ კიდევ აპრილ-მაისში გამოთქვა ეს სურვილი და თუ კლუბის ხელმძღვანელობა მისგან ასეთი ნაბიჯის გადადგმას ასე თუ ისე ელოდა, ფრანკის იგივე გადაწყვეტილება მეხის გავარდნას ჰგავდა.

მორტენ ოლსენი ხომ მომავალ სეზონში მთელი თამაშის აგებას რამდენიმე ძირითად ვარსკვლავზე აპირებდა და დე ბურებს ამ სქემაში მთავარი როლების შესრულება ევალებოდათ.

— რონალდი და ფრანკი „აიაქსისთვის“ დიდი ძალა იყვნენ. ამიტომ ნამდვილად ვერ ვიტყვი, მათ დაკარგვას ადვილად გადავიტანთ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ დე ბურები სულ ბოლო მომენტში გამოგვაკლდნენ. ამან მომზადების პროცესში დიდი პრობლემები შეგვიქმნა — აცხადებს დანიელი მწვრთნელი.

რონალდ და ფრანკ დე ბურების თვითნებური გადაწყვეტილების წინაალმდეგ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამაც გაილაშქრა, რამაც ბევრ ქომაგს იმედი გაუღვივა, ტყუპები აზრს შეიცვლიან და „აიაქსში“ დარჩებიანო, მაგრამ მას შემდეგ, რაც დე ბურები ახლახან გამართულ სუპერთასის შეხვედრაში ვერ ვიხილეთ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ძმები ამსტერდამელთა შემადგენლობაში აღარ იასპარეზებენ.

ბოლოს ორიოდე სიტყვით იმ გუნდებზეც ვთქვათ, რომლებიც ადვილი შესაძლებელია, „აიაქსისა“ და „ეინდჰოვენის“ ორთაბრძოლაში ჩაერიონ. ასეთთა რიცხვს უპირველესად როტერდამის „ფეიენოორდი“ მიეკუთვნება. ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბს სეზონის წინ დიდი ცვლილებები არ განუცდია. მისი ერთადერთი დანაკლისი გლაზგოს „რეინჯერსში“ გადაბარგებული ეროვნული ნაკრების წევრი, ჯოვანი ვან ბრინკჰორსტია. სხვა მხრივ როტერდამელებმა შემადგენლობა სრულიად შეინარჩუნეს და წლეულს შეეცდებიან, გასულ სეზონში ნაჩვენები საოცრად სუსტი შედეგი გააუმჯობესონ.




REUTERS ამსტერდამიდან

სუპერთასზე „აიაქსთან“ 2:0 მოგებით რობსონის ბიჭებმა სერიოზული განაცხადი გააკეთეს: „ეინდჰოვენი“ წელს ჩემპიონობას აპირებს!

1996-97 წლის ჩემპიონატში „ფეიენოორდმა“ მეოთხე ადგილი დაიკავა და ჩემპიონს მთელი 29 ქულით ჩამორჩა.

სიურპრიზს უნდა ველოდეთ არნემის საკმაოდ სიმპათიურ გუნდ „ვიტესისგანაც“. შარშან სენსაციურად მესამე ადგილზე გასულნი წლეულს მარტიდან ახალ სტადიონზე გადავიდნენ და ამან წარმატებით გამოსვლაში უეჭველად დადებითი როლი უნდა ითამაშოს. ვიტესის არენა „გელრედოუმ ჰოუმი“ ხომ „აიაქსის“ „ამსრეტდამ არენასთან“ ერთად უნიკალური ნაგებობაა მთელ ჰოლანდიაში და მოძრავი სხურავითაც შეუძლია მოიწონოს თავი. ასეთ სარბიელზე ასპარეზობით შეგულიანებული არნემელებთან თამაში ადვილი ვერავისთვის იქნება.

თანაც, გუნდს გამორჩეული ლიდერი ჰყავს. ბერძენი თავდამსხმელი ნიკოს მახლასი შარშან 34 გატანილი გოლით მთელი ევროპის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და გარკვეულწილად მისი დამსახურებაც იყო ის ფაქტი, რომ „ვიტესმა“ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ჩემპიონატი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, დღეს გაიხსნება. „აიაქსი“ თავის პირველ შეხვედრას კვირას შინ გამართავს „ტილბურგთან“, ხოლო წინა დღეს „ეინდჰოვენი“ ახალაღზევებულ „კამბურს“ ესტუმრება.

**ფილიპ ბლენქინსოპი**
**როიტერი**

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აზ 67 | | 08.11 | 05.04 | 17.04 | 27.09 | 20.02 | 29.08 | 27.02 | 24.05 | 08.05 | 18.11 | 20.03 | 22.08 | 06.12 | 19.09 | 13.12 | 07.02 | 16.10 |
| 2 | აიაქსი | 09.09 | | 27.09 | 20.09 | 15.11 | 16.05 | 21.03 | 25.10 | 06.12 | 28.02 | 11.11 | 18.04 | 10.02 | 18.10 | 23.08 | 07.03 | 02.05 | 13.12 |
| 3 | ბრედა | 23.09 | 23.05 | | 24.02 | 06.12 | 13.03 | 24.10 | 16.12 | 17.10 | 11.11 | 09.04 | 21.11 | 08.05 | 09.09 | 17.04 | 23.08 | 08.11 | 08.03 |
| 4 | გრააფსხაპი | 16.12 | 09.05 | 13.12 | | 25.04 | 05.09 | 04.10 | 24.05 | 03.04 | 13.09 | 14.11 | 10.04 | 23.09 | 21.02 | 07.11 | 18.10 | 07.03 | 21.11 |
| 5 | ეინდჰოვენი | 16.05 | 04.04 | 27.02 | 28.11 | | 01.05 | 12.11 | 13.03 | 12.09 | 17.04 | 23.09 | 03.10 | 31.10 | 18.02 | 19.12 | 22.11 | 20.09 | 29.08 |
| 6 | ვალვაიკი | 04.10 | 22.11 | 20.12 | 01.11 | 08.09 | | 03.04 | 09.05 | 07.02 | 22.08 | 24.05 | 17.02 | 15.11 | 25.04 | 07.03 | 06.11 | 13.12 | 20.09 |
| 7 | ვიტესი | 01.05 | 29.11 | 17.02 | 16.05 | 07.02 | 23.09 | | 12.09 | 20.02 | 08.11 | 22.08 | 06.03 | 26.09 | 10.04 | 17.10 | 15.11 | 06.12 | 17.04 |
| 8 | კამბური | 11.11 | 10.04 | 30.10 | 26.09 | 22.08 | 17.10 | 23.02 | | 20.03 | 09.09 | 06.02 | 27.11 | 24.04 | 19.09 | 16.05 | 02.12 | 17.02 | 01.05 |
| 9 | მაასტრიხტი | 14.11 | 12.03 | 01.05 | 22.08 | 10.04 | 24.10 | 19.09 | 03.10 | | 20.11 | 17.02 | 11.12 | 17.04 | 27.02 | 31.10 | 09.09 | 11.11 | 16.05 |
| 10 | ნაიმეგენი | 23.10 | 01.11 | 30.08 | 05.02 | 18.10 | 27.11 | 25.04 | 02.04 | 24.02 | | 18.09 | 18.12 | 02.12 | 14.11 | 17.02 | 02.05 | 16.05 | 26.09 |
| 11 | როდა | 24.02 | 28.08 | 12.09 | 01.05 | 05.03 | 26.09 | 21.11 | 07.11 | 27.11 | 20.03 | | 23.10 | 20.02 | 16.12 | 03.04 | 16.05 | 16.04 | 05.12 |
| 12 | სიტარდი | 12.09 | 23.09 | 06.02 | 11.11 | 07.05 | 04.11 | 09.09 | 20.02 | 26.09 | 24.05 | 25.04 | | 17.10 | 30.10 | 23.02 | 13.03 | 21.08 | 02.04 |
| 13 | სპარტა | 22.11 | 04.10 | 20.09 | 14.02 | 21.03 | 09.04 | 14.03 | 06.12 | 08.11 | 07.03 | 06.09 | 16.05 | | 13.11 | 02.05 | 07.02 | 29.11 | 25.10 |
| 14 | ტვენტე | 06.03 | 07.02 | 16.05 | 24.10 | 08.11 | 12.09 | 19.12 | 17.04 | 23.09 | 10.02 | 13.03 | 01.05 | 29.08 | | 21.11 | 05.04 | 04.10 | 11.11 |
| 15 | ტილბურგი | 10.04 | 25.04 | 15.11 | 13.03 | 25.10 | 11.11 | 12.12 | 23.09 | 08.05 | 06.12 | 03.10 | 29.08 | 11.09 | 24.05 | | 21.02 | 21.03 | 06.02 |
| 16 | უტრეხტი | 14.02 | 13.09 | 21.03 | 20.12 | 23.05 | 18.04 | 09.05 | 30.08 | 23.04 | 04.10 | 01.11 | 20.09 | 11.11 | 27.09 | 29.11 | | 25.10 | 24.02 |
| 17 | ფეიენოორდი | 31.10 | 20.12 | 25.04 | 08.09 | 21.02 | 27.02 | 24.05 | 21.11 | 30.08 | 23.09 | 17.10 | 15.11 | 03.04 | 09.05 | 26.09 | 11.04 | | 13.03 |
| 18 | ჰერენვენი | 23.04 | 20.02 | 04.10 | 27.02 | 01.12 | 21.03 | 31.10 | 14.11 | 18.12 | 11.04 | 07.05 | 08.11 | 24.05 | 20.08 | 08.09 | 23.09 | 11.09 | |

## ტრანსფერები

| | | |
|---|---|---|
| **აიაქსი** | | |
| იესპერ გრონკიაერი | დანია | ოლბორგი |
| გიორგი ქინქლაძე | საქართველო | მანჩესტერ სიტი |
| ვამბერტო | ბრაზილია | სტანდარდი |
| **ბრედა** | | |
| მუსტაფა აკსიტი | თურქეთი | RBC |
| პეტერ ბოსზი | ჰოლანდია | ჰანზა |
| რემკო ფრიიკერსი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| აჰმედ კაშმი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| სერჟიო პაჩეკო | ბრაზილია | |
| კრისტიანო | ბრაზილია | |
| **გრააფსხაპი** | | |
| კოენ ბააკმენი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| იეროენ დრენტი | ჰოლანდია | DZC 68 |
| პარელ ფრაუმლინკელი | ჰოლანდია | ტელსტარი |
| მიქაელ ჰაგემენი | ჰოლანდია | კეიენბურგს ბოიზი |
| ლემ ჰაპკესი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| მარკ კეიცერი | ჰოლანდია | კამბური |
| იესპერ კეტინგი | ჰოლანდია | აიაქსი |
| რენე რაბელინკი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| რიხარდ როელოფსენი | ჰოლანდია | ბრედა |
| სონი სილოოი | ჰოლანდია | არმინია |
| ზიკო ტუმბა | ჰოლანდია | მეცი |
| ლიკერ ზივალი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| **ეინდჰოვენი** | | |
| ჟორჟინიო ამარალი | ბრაზილია | პალმეირასი |
| ბიორნ ვან დერ დოლენი | ჰოლანდია | სტანდარდი |
| გიორგი გახოკიძე | საქართველო | ალანია |
| პატრიკ ლოდევიიკსი | ჰოლანდია | გრონინგენი |
| იონას კოლკა | ფინეთი | ტილბურგი |
| თეო ლუსიუსი | ჰოლანდია | დენ ბოში |
| იური ნიკიფოროვი | რუსეთი | სპორტინგი |
| ტრუუდ ვან ნისტერლოოი | ჰოლანდია | ჰერენვენი |
| დევი ოიენი | ბელგია | გენკი |
| დენის რომედალი | დანია | ვალვაიკი |
| ჟოაკიმ მარკოსი | ბრაზილია | რიო ავე |
| დანიელ ვიოგტი | ჰოლანდია | გრააფსხაპი |
| აბელ ქსავიერი | პორტუგალია | ოვიედო |
| **ვალვაიკი** | | |
| რიხარდ ბეეკინკი | ჰოლანდია | უტრეხტი |
| ტიმ კორნელისე | ჰოლანდია | ანდერლეხტი |
| გარი დე გრაეფი | ბელგია | TOP ოსი |
| რობერტო ლანკორი | ჰოლანდია | სიტარდი |
| სანტინიო ლოპესი | ჰოლანდია | მუსკრონი |
| ვირჯილიო ტექსეირა | პორტუგალია | ADO დენ ჰააგი |
| **ვიტესი** | | |
| პატრიკ ექსი | ჰოლანდია | გრონინგენი |
| კოსტას ჩანიოტაკისი | საბერძნეთი | ოფი |
| მარტინ კუპერი | ჰოლანდია | ვალვაიკი |
| **მაასტრიხტი** | | |
| ქუინსი ელვირა | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| დეივი ჰეიმანსი | ბელგია | კლუბის აღზრდილი |
| დანილო გიულიეტი | ბელგია | კლუბის აღზრდილი |
| ჰუსეინ კარაპინარი | ბელგია | კლუბის აღზრდილი |
| ჯოი კრუინტენსი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| პიმ მოონენი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| ინკი სმიტსი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| ოსიან სონკაია | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| ჯერი ტაიჰუტუ | ჰოლანდია | TOP ოსი |
| მაიკლ ვონკი | ჰოლანდია | შეფილდი |
| **ნაიმეგენი** | | |
| ბენიტო კემბლე | ჰოლანდია | მაასტრიხტი |
| მაიკლ რენფურმი | ჰოლანდია | სპარტა |
| ჰენი დე რომინი | ჰოლანდია | დორდრეხტ 90 |
| **როდა** | | |
| ჟელკო კალაჩი | ავსტრალია | სიდნეი იუნაიტედი |
| მარკ ლუიპერსი | ჰოლანდია | მაასტრიხტი |
| მარკ ნიგრაადი | დანია | მაასტრიხტი |
| სამირ ოუინდი | გერმანია | კლუბის აღზრდილი |
| **სიტარდი** | | |
| ვილფრედ ბოუმა | ჰოლანდია | ეინდჰოვენი |
| **სპარტა** | | |
| დეივ კასტელეინი | ჰოლანდია | ფეიენოორდი |
| ანდერს ნილსენი | დანია | ეინდჰოვენი |
| ერიკ ტამერი | ჰოლანდია | გო ეჰედი |
| არნუდ ტოეტი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| რომეო თუდენი | ჰოლანდია | ვერკრუზი |
| **ტვენტე** | | |
| რიკ პლატვუეტი | ჰოლანდია | ემენი |
| იორგ სობიეხი | გერმანია | ნაიმეგენი |
| კურტ ვან დერ პაარი | ბელგია | ანდერლეხტი |
| **ტილბურგი** | | |
| იასინ აბდელაუი | მაროკო | რაიო ვალეკანო |
| მარიო ბომბარდა | არგენტინა | გრონინგენი |
| რენდერ ჰერმესი | ჰოლანდია | რინსბურგს ბოიზი |
| დელანო ჰილი | ჰოლანდია | ვალვაიკი |
| დენის შულპი | ჰოლანდია | აიაქსი |
| რეიმონდ ვიქტორია | ჰოლანდია | გრააფსხაპი |
| **უტრეხტი** | | |
| ემილ ვან ეიკერენი | ჰოლანდია | ნაიმეგენი |
| სტეფან ჰააკსმანი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| რუუდ ვიენსენი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| ალფონს გრონენდიიკი | ჰოლანდია | ჰელმონდ სპორტი |
| ფრენკ კუმანი | ჰოლანდია | VVV |
| ჯონ ო გრეინი | აშშ | აიაქსი |
| ჰენი ვან შუნჰოვენი | ჰოლანდია | ელინვაიკი |
| ეტენ შოუ | ჰოლანდია | რუსენბორგი |
| პატრიკ ზვაანსვიკი | ჰოლანდია | აიაქსი |
| **ფეიენოორდი** | | |
| პატრიკ ალოტაი | განა | მუსკრონი |
| რონალდ გრააფლენდი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |
| ფერი დე ჰაანი | ჰოლანდია | მუსკრონი |
| ბერტ კონტერმანი | ჰოლანდია | ტილბურგი |
| პატრიკ პააუვე | ჰოლანდია | სიტარდი |
| რონილდო ტონინიო | ბრაზილია | პორტუგეიზა |
| ჯონ დალ ტომასონი | დანია | ნიუკასლი |
| პეტერ ვან ფოსენი | ჰოლანდია | რეინჯერსი |
| **ჰერენვენი** | | |
| ტომას ჰოლმი | ნორვეგია | VIF |
| დანიელ იენსენი | დანია | AF |
| დენის დე ნოაიერი | ჰოლანდია | სპარტა |
| ჟერარ დე ნოაიერი | ჰოლანდია | სპარტა |
| იაკობ დე ვრეისი | ჰოლანდია | კლუბის აღზრდილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკვახე ყურძენი და შრომა

დიდიე დეშამპს თვითმფრინავზე აგვიანდებოდა. ის ტურინიდან ვენას მიემგზავრებოდა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის დიდებული ფინალის შემდეგ მისი ქვეყნის, საფრანგეთის ნაკრებმა წუხელ პირველი შეხვედრა ჩაატარა. დეშამპმა მიასწრო ლაინერს, ოღონდ აეროპორტამდე ქალაქის პროკურატურაში შეიარა, სადაც მაგისტრი რაფაელე გარინიელო ელოდა. მაგისტრმა „იუვენტუსის" კაპიტანი 90 წუთით დააყოვნა.

ტურინის პროკურატურამ „ბებერი ქალბატონის" ფეხბურთელებისადმი ინტერესი მას მერე გამოიჩინა, რაც „რომას" ჩეხმა მწვრთნელმა, ზდენეკ ზემანმა გაზეთ „ესპრესოსთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იტალიის სერია A-ს გუნდები დოპინგს აქვს წალეკილი. ჩეხი 17 წელიწადია, აპინენებზე მუშაობს და მის სიტყვას ფასი აქვს. მან თქვა, „იუვენტუსის" ფეხბურთელს, ალესანდრო დელ პიეროს დაკუნთული სხეული სწორედ აკრძალული მედიკამენტების ხმარების შედეგად ჩამოუყალიბდაო.

მაგისტრმა გარინელომ დეშამპზე ყურადღება იმიტომ გაამახვილა, რომ ამა წლის დასაწყისში გამოქვეყნდა ცნობები, თითქოს ფრანგი კაპიტანი ვიალის „ჩელსიში" აპირებდა გადაბარგებას. შესაბამისად იკვეთებოდა რაღაც კავშირი დეშამპსა და მედიკამენტების სმაში ეჭვმიტანილ ლონდონელთა მწვრთნელს შორის.

— ხმები, თითქოს „ჩელსიში" გადავდიოდი, საგანგებოდ, თავად გავავრცელე, რადგან მინდოდა ამით „იუვეს" მწვრთნელი, მარჩელო ლიპი და ფიზიკური მომზადების სპეციალისტი, ჯანპიერო ვენტრონე მეიძულებინა, ჩვენთვის ვარჯიშით სული არ ამოეხადათ. სამწუხაროდ, ამ ხერხმა არ გაამართლა — წაუკითხა ჟურნალისტებს დეშამპის სიტყვები „ბებერი ქალბატონის" პრესატაშემ.

დაკითხვაზე გარინელოს დეტალურად გამოუკითხავს ფეხბურთელისთვის „იუვენტუსის" მწვრთნელთა მეთოდიკის ამბები, რაზეც დეშამპს უპასუხია:

— ჩვენი მწვრთნელების მეთოდი სერიოზული და მუხლჩაუხრელი წვრთნა გახლავთ და სწორედ იგია „იუვენტუსის" წარმატების საფუძველი.

დიდიე დეშამპი ოთხი წელიწადია, რაც ტურინის გუნდში თამაშობს. ბუნებრივია, ასეთმა ადამიანმა, თანაც გუნდის კაპიტანმა, კარგად უნდა იცოდეს საშინაო ამბები. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, თავად „იუვენტუსში" აღმოჩნდა ხალხი, რომელთაც დაადასტურეს ზემანის სიტყვები, რომ დელ პიეროს სხეული საოცრად მოკლე დროში შეიცვალა და უკიდურესად დაკუნთული გახდა. თუმცა „ბებერი ქალბატონის" წრეებში ამას მკვახე ყურძნის რეგულარული სმით ხსნიან.

რაც შეეხება მედიკამენტებს, კერძოდ კი მუსკულატურის განვითარებისთვის უებარ, მაგრამ აკრძალულ კრეატინს, იუვენტუსელთა განცხადებით, ის მათთვის უცნობია.

ტურინის კლუბის მეპატრონემ, კონცერნ „ფიატის" მფლობელმა, ინდუსტრიის გიგანტმა, ჯანი ანიელიმაც გაუკეთა კომენტარი მოვლენებს, ოღონდ მოკლედ, ყველაფერს ყბედობა უწოდა და ამით დაასრულა.

დელ პიერო და ვიალი რომში, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო კომისიის წინაშე, ზემოხსენებულმა მწვრთნელმა, ფიზიკური მომზადების ბრწყინვალე სპეციალისტმა, ვენტრონიმ დაიცვა.

— როდესაც ვიალი „იუვენტუსში" მოვიდა, ისეთივე ალნაგი და ძალ-ღონით ალსავსე იყო, როგორიც დღესაა. რაც შეეხება დელ პიეროს, იგი გამხდარი, სუსტი ბიჭი გახლდათ, მაგრამ ძალიან ბევრი იშრომა და რა გასაკვირია, რომ შედეგიც მოიმკა.

იმავე კომიტეტის წინაშე წარსდგა „ნაპოლის" ყოფილი თავკაცი, ჯოვანი გალეონე.

— კრიეტინი და ამინომჟავა დოპინგია და ჩემი ღრმა რწმენით სპორტსმენებს მათი მიღების უფლება არ უნდა ჰქონდეთ. ყველამ იცის, რომ მედიკამენტებით მოლონიერება ჩვენში ერთობ ფეხმოკიდებულია, ხოლო თავად ამ მედიკამენტების სიას ნებისმიერ ბროშურაში წააწყდებით.

„იუვენტუსისა" და „ინტერის" ყოფილი ექიმი, პასკუალე ბერგამი ცოტა სხვანაირი აზრისა იყო:

— ვეჭვობ, მსოფლიო ფეხბურთში დოპინგი დიდად ფესვგადგმული იყოს, თუმცა წამლების და ვიტამინების მიღების ფილოსოფია ყოველთვის არსებობდა. სწორედ ამ ფენომენს უნდა შევებრძოლოთ. გარდა ამისა, უნდა შევზღუდოთ კრიეტინიც, რამეთუ სამოყვარულო ფეხბურთში და ჭიდაობაში სახელი აქვს გატეხილი.

ბერგამიმ განაცხადა, რომ კრიეტინი, ოღონდ ფოსფორმჟავასთან კომბინირებული, ერთადერთხელ, 1995 წელს გამოიყენა. ეს იყო ტაბლეტები, რომელთაც სასურველი ეფექტი მაინცდამაინც არ ჰქონდათ.

იტალიის ნაკრების ექიმმა, პაოლო ძეპილიმ ბრძანა, რომ კრიეტინი საშინელებად სულაც არ მიაჩნია (თუ იგი რეკომენდებული დოზებით მიიღება) და ამ წამალს ყოველთვის ასმევენ ყველაზე დაღლილ ფეხბურთელებს. ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.

**ჯუდ ფებერი, როიტერი**



„მალიორკამ" ჩემპიონს „ბარსელონას" ესპანეთის სუპერთასის პირველ შეხვედრაში გამარჯვება მეორე ტაიმში გატანილი გოლების წყალობით გამოსტაცა ხელიდან.

თავიდან, პირველ ნახევარში, ანგარიში კატალონიური კლუბის ახალგაზრდა თავდამსხმელმა სავი ერნანდესმა გაიტანა. მან მე-15 წუთზე მოიგდო ბურთი და საჯარიმო მოედნის კიდიდან ზუსტად და ღონივრად დაარტყა.

მეორე ტაიმის მე-12 წუთზე მარჯვენა ფრთაზე ხეირიანიგარჯა დანიმ გოლით და ანგარიშის გაქვითვით დაასრულა, ხოლო შემდეგ, საფინალო სასტვენის 10 წუთი რომ დააკლდა სტანკოვიჩმა ჯარიმა შეასრულა, ბურთი მსუბუქად აისხლიტა მავანმა ფეხმა და „ბარსას" ჰოლანდიელი გოლკიპერის რუუდ ჰესპის კარში შეაძვრინა.

საპასუხო შეხვედრა ბარსელონაში 22 აგვისტოს გაიმართება.

**ინგლისური „ჩელსის" ერთ-ერთ მწვრთნელს, გრემ რიქსს ცუდად აქვს საქმე. მას 15 წლის გოგოსთან უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარებაში სდებენ ბრალს. გაზეთ „სანის" თქმით, გოგონას მამა ფულემის სასამართლოში აპირებს ჩივილს. რიქსი ფეხბურთელობისას „არსენალში" თამაშობდა და 17-ჯერ ჩაუცვამს ნაკრების ფორმა.**

**ინგლისელმა** ნახევარმცველმა დევიდ ბექემმა ყოველგვარ ჭორაობას ბოლო მოუღო და კლუბთან „მანჩესტერ იუნაიტედთან" 2003 წლამდე გააფორმა ახალი კონტრაქტი. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინასთან შეხვედრაში გაძევებამ სამშობლოში სახელი გაუტეხა და „იუნაიტედიდან" წასვლა რაა, ლამის სახლ-კარიც გააყიდინეს, მაგრამ 23 წლის ბექემმა მეგობრების, პოლ სქოულზის, გარი და ფილ ნევილებისა და ნიკი ბათის დარად, კიდევ ხუთი წლით გაიგრძელა „ოლდ ტრეფორდზე" თამაშის ბედნიერება.

**გერმანიის გასული სეზონის ჩემპიონის „კაიზერსლაუტერნის" ფეხბურთელმა, ანდრეას ბუკმა ბუნდესლიგის ჩემპიონატის პირველივე ტურში სტუმრად „მიუნხენ 1860"-თან შეხვედრაში ტვინის შერყევა მიიღო. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს თავად კლუბის მწვრთნელმა, ოტო რეჰაგელმა მიაწოდა. მწვრთნელს არ დაუკონკრეტებია, როდის შეძლებს ბუკი მოედანზე გასვლას, მაგრამ თქვა, საკმაო ხნით მოუწევსო დასვენება. ფეხბურთელმა ტრავმა მატჩის 30-ე წუთზე მიიღო, როდესაც თავით ბრძოლისას მიუნხენელთა ლიბეროს ჭერილდ ვანენბურგს დაეჯახა.**

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგაში სულ ოთხი ტური ჩატარდა, თუმც მწვრთნელის განთავისუფლება უკვე მოასწრეს, პირველი მერცხალი ბილეფილდის „არმინიას" თავკაცი, ერნსტ მიდენდორფი აღმოჩნდა, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელობამ მესამე ტურში „ულმთან" 2:6 განადგურება ვერ აპატია. მიდენდორფი ბილეფილდელებს 1994 წლის 24 აგვისტოს ჩაუდგა სათავეში, ორ წელიწადში პირველ ბუნდესლიგაშიც ალაზევა, მაგრამ გასულ სეზონში გუნდი კვლავ მეორეში ჩამოქვეითდა. მიდენდორფის მემკვიდრედ ფელიქს მაგათს ასახელებენ. კლუბის წარმომადგენლის თქმით, ახალი მწვრთნელის ვინაობა უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი, რობერტ იარნი ესპანეთის „ბეტისიდან" მადრიდის „რეალში" გადავიდა. 29 წლის ნახევარმცველმა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „სამეფო" კლუბთან სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ხორვატი პრემიერლიგის „ქოვენთრიში" აპირებდა გადასვლას, ინგლისელებთან ყველა დეტალზეც გახლდათ შეთანხმებული, მაგრამ ბოლო წამს იუარა. „რეალის" ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, კლუბის ხელმძღვანელობა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორზე დიდ იმედებს ამყარებს. იარნის შეძენა ესპანელებს 5,3 მილიონი დოლარი დაუჯდათ.**

## ინგლისი

ლიგის თასის პირველი რაუნდის საპასუხო შეხვედრები. ბარნსლი — შარბორუ 3:0 (1:0); ბრენტფორდი — ვესტ ბრომვიჩი 3:0 (1:2); ბრისტოლი — ლეიტონი 1:2 (1:1); ბარნლი — ბერი 1:4 (1:1); კარდიფი — ფულემი 1:2 (1:2); კარლისლი — ტრანმერი 0:1 (0:3); ჩესტერი — პორტ ვეილი 2:2 (2:1); ჩესტერფილდი — როტერჰემი 2:0 (1:0); ქრიუ — ოლდჰემი 2:0 (2:3); ჰული — სტოკპორტი 0:0 (2:2); იფსვიჩი — ექსეტერი 5:1 (1:1); ლინკოლნი — ბრედფორდი 0:1 (1:1); მანსფილდი — ჰადერსფილდი 1:1 (2:3); ნორვიჩი — სვონსი 1:0 (1:1); ოქსფორდი — ლუტონი 1:3 (3:2); პორტსმუთი — პლიმუტი 3:2 (3:1); პრესტონი — გრიმსბი 0:0, 6:7პ (0:0); სანდერლენდი — იორკი 2:1 (2:0); უოტფორდი — კემბრიჯი 1:1 (0:1); ველვერჰემპტონი — ბარნეტი 5:0 (1:2); უიკომბი — სვინდონი 2:0 (1:2); დარლინგტონი — შეფილდ იუნაიტედი 2:2 (1:3); ჰალიფაქსი — ვრექსემი 0:2 4:2პ (2:0); კოლჩესტერი — ბორნმუტი 3:2 (0:2); გილინგჰემი — საუთენდი 0:1 (0:1); როჩდეილი — უიგანი 0:1 (0:1); სკანთორპი — ბლეკპული 1:1 (0:1); შრიუზბარი — ბრისტოლ სიტი 4:3 (0:4)

### ფეხბურთის რუკასთან



**გერმანულმა** „შტუტგარტმა" თავისი ლიდერი, ფრედი ბობიჩი დაახლოებით ოცი დღით მოისაკლისა. 26 წლის თავდამსხმელი პარასკევს დორტმუნდის „ბორუსიასთან" ჩემპიონატის პირველ ტურში დაშავდა — საჰაერო დუელის შემდეგ ფეხი ცუდად დადგა და 26-ე წუთზე შესაცვლელიც შეიქნა. „ფრედის ტრავმა ჩვენთვის მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისია. ვიმედოვნებ, იგი ძალიან მალე დაგვიბრუნდება" — განაცხადა „შტუტგარტის" ახალმა თავკაცმა, ვინფრედ შეფერმა, რომელმაც ამ თანამდებობაზე სეზონის წინ იოხან ლოვი შეცვალა.

**გერმანიაში ჩემპიონატი კი დაიწყო, მაგრამ კლუბები ფეხბურთელების შეძენას მაინც განაგრძობენ. ბრემენის „ვერდერმა" მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „გიუტერსლოდან" დირკ ფლოკი შეიძინა. ნახევარმცველმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „გიუტერსლომ" ფლოკის სანაცვლოდ ბრემენელებისგან 1,2 მილიონი მარკა მიიღო.**

**ნიგერიელმა** სანდი ოლისემ განაცხადა, რომ ამიერიდან ნაკრებში აღარ ითამაშებს. მიზეზი კი მართლაც გასაოცარია. „უკეთესი იქნება, ჩემს ადგილს ახალგაზრდები თუ დაიკავებენ, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კარგად მოემზადებიან" — ახსნა ეროვნული გუნდიდან წასვლის საბაბი 23(!) წლის ოლისემ, რომელიც ამჟამად ამსტერდამის „აიაქსის" ღირსებას იცავს.

**კამერუნის ნაკრების და ესპანური „დეპორტივო ლა კორუნიას" მეკარემ ჟაკ სონგომ განაცხადა, რომ წლეულს თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსებას აღარ დაიცავს. სონგოს თქმით, იგი ესაუბრა კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს და აუხსნა, ამას იმიტომ ვაკეთებ, მთელი ყურადღება კლუბზე გადავიტანო და ესპანეთის ჩემპიონატში ღირსეულ ასპარეზობაში დავეხმაროო.**

**არგენტინის** ნაკრების ფეხბურთელმა, ნელსონ ვივასმა ინგლისში თავისი პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა. შეგახსენებთ, რომ იგი ლონდონის არსენალში სულ ახლახან გადავიდა შვედურ გუნდ „ლუგანოდან" 1,6 მილიონ გირვანქად (2,59 მილიონი დოლარი). ვივასის დებიუტი „არსენალის" სათადარიგო შემადგენლობაში შედგა, რომელმაც „კოლჩესტერ იუნაიტედს" მოუგო 4:0. ამ თამაშის შემდეგ ვივასის თანაგუნდელმა სტივ ბოულდმა აღნიშნა: „დღეს ნელსონმა დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის პროფესიონალია. მასთან ერთად მოედანზე ყოფნა ჩემთვის ერთი სიამოვნება იყო". როგორც ამბობენ, ვივასის პრემიერლიგური დებიუტი შაბათს „ლივერპულთან" შეხვედრაში შედგება.

**შოტლანდიის ლიგის თასის მესამე წრის შეხვედრები: ფალკირკი — სტ. ჯონსტონი 0:1, კილმარნოკი — ლივინგსტონი 3:1, მოზერველი — აირი 0:2, რეინჯერსი — ალოა 4:0.**

**ბელგიელი** მეკარის, რონი გასპერჩიჩის ესპანეთის პირველ დივიზიონში ახალაღზევებულ „ესტრემადურაში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია — განაცხადა მისი ამჟამინდელი კლუბის „ჰარელბეკის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. „საქმე 95 პროცენტით მოგვარებულია, კლუბები ყველაფერზე შეთანხმდნენ, თავად ფეხბურთელიც კმაყოფილია" — აღნიშნა „ჰარელბეკის" პრესატაშემ. აგვისტოს დასაწყისში გასპერჩიჩით ლონდონის „არსენალიც" დაინტერესდა, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა.

**იტალიის სერია A-ში მოასპარეზე „ემპოლის" ახალი თავკაცი ჰყავს — მაურო სანდრეანი. იგი ამ თანამდებობაზე ლუიჯი დელ ნერის ადგილს დაიკავებს. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით „ემპოლიმ" სეზონის წინა მოსამზადებელ ეტაპზე 13 ამხანაგური მატჩი გამართა და ოთხში დამარცხდა. 44 წლის სანდრეანი ადრე „პადოვასა" და „ტორინოს" ედგა სათავეში. მისი ახალი კლუბი კი შარშანდელ ჩემპიონატში მე-13 ადგილზე გავიდა.**

**ლიბერიის** ნაკრებისა და „მილანის" თავდამსხმელმა, ჟორჟ ვეამ განაცხადა, რომ თუ მის ქვეყანაში ფეხბურთისადმი დამოკიდებულება არ შეიცვლება, იგი ნაკრებში თამაშისგან თავს შეიკავებს. ორშაბათს ლიბერიელებმა აფრიკის თასის საკვალიფიკაციო მატჩში ნიგერის გუნდი დაამარცხეს 2:0 და ძირითად ტურნირში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. წარსულში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის თქმით, ამ მატჩის შემდეგ იგი მთავრობის წარმომადგენლებს ესაუბრა: „მათ განვუცხადე, რომ თუ ოქტომბრამდე არაფერი შეიცვლება, მე და ჩემი თანაგუნდელები ეროვნულ ნაკრებში არ ვითამაშებთ" — ამ თანაგუნდელთა ვინაობა ვეას არ დაუსახელებია.

**შვედი მცველი, იოჰან მიალბი სტოკჰოლმის აიკ-იდან შესაძლოა პრემიერლიგის ბინადარ „ლივერპულში" გადავიდეს. ადგილობრივ პრესაში გავრცელებული ხმების თანახმად, ინგლისური მხარე უკვე შეეხმიანა მის პირად აგენტ მარტინ კლიტეს. მისი თქმით, „ლივერპული" მართლაც დიდად არის დაინტერესებული მიალბის ყიდვით, ამიტომაც მოლაპარაკებები უახლოეს დღეებში დაიწყება.**

**ხორვატიის** ნაკრების ნახევარმცველმა, რობერტ პროსინეჩკიმ განაცხადა, რომ აღარ ითამაშებს ეროვნულ გუნდში მანამ, სანამ მას სათავეში მიროსლავ ბლაჟევიჩი უდგას. „ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და ვერავინ მას ვერ შემაცვლევინებს" — აღნიშნა 29 წლის ფეხბურთელმა. ამის გამომწვევ მიზეზებზე პროსინეჩკის არ უსაუბრია, თუმცა თქვა, რომ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც დაირხა ხმები, თითქოს პირადად მასსა და ბლაჟევიჩს შორის მომხდარი უთანხმოების გამო, მთლიანად გუნდში არაჯანსაღი ატმოსფერო შეიქმნა. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ხორვატები მთავარი სენსაციის ავტორები გახდნენ და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, ბლაჟევიჩი პროსინეჩკის ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდა, ხოლო მასპინძლებთან ნახევარფინალში მხოლოდ 89-ე წუთზე შეუშვა მინდორზე. ხორვატთა თავკაცმა ცოტა ხნის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ იგი ნაკრების მთავარ მწვრთნელად კიდევ ოთხი წლის განმავლობაში იმუშავებს.

**ფრანგი სპეციალისტი, ფილიპ ტრუსიე შესაძლოა იაპონიის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის (JFA) წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იგი მომავალ კვირაში ჩაფრინდება ამომავალი მზის ქვეყანაში, მათთან მოსალაპარაკებლად. სავარაუდოდ, კონტრაქტი ორწლიანი გაფორმდება და ტრუსიე 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე ჩაიყვანს იაპონელებს. 43 წლის ფრანგი ამ პოსტზე ტაკეში ოკადას შეცვლის, რომლის თავკაცობითაც გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტად უხეიროდ იასპარეზა. ასოციაციის წარმომადგენელთა თქმით, სამხრეთ აფრიკის ყოფილი დამრიგებლის კანდიდატურა, მათ ტრუსიეს თანამემამულემ, წარსულში „ნაგოია გრამპუსის", ამჟამად კი ლონდონის „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა ურჩია.**

**კორეულ** ფეხბურთში დიდი აჟიოტაჟია ნაკრების ყოფილი თავკაცის, ბუმ კუნ ჩას ირგვლივ. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ (KFA) განაცხადა, რომ მას ხუთი წლით მწვრთნელობის უფლება ჩამოერთმევა. მიზეზი ის გახლავთ, რომ რამდენიმე ხნის წინ ადგილობრივ პრესაში გამოსვლისას ბუმ კუნ ჩამ მძაფრად გააკრიტიკა კორეული ფეხბურთის ხელმძღვანელობა და აღნიშნა, აქ მეტად შავბნელი ამბები ტრიალებს, რასაც ჩემი თანამდებობიდან მოხსნა მოჰყვაო. მას შემდეგ წარსულში ბუნდესლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელს არანაირი კომენტარი აღარ გაუკეთებია. კორეის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად „ჩანემ დრაგონსის" ყოფილი თავკაცი ჰუ იუნგ მუ დაინიშნა.

# დიეგო დაბრუნდა

დიეგო მარადონა კიდევ ერთხელ, უკვე მეშვიდედ ბრუნდება ფეხბურთში. ამჯერად მისი არჩევანი მეტად მოკრძალებულ კლუბზე, ესპანეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ბადახოსზე“ შეჩერდა. სავარაუდოდ, მარადონა მომავალ თვეში ამხანაგურ მატჩში მიიღებს მონაწილეობას, რის შემდეგაც თურმე „ბადახოსთან“ საკმაოდ გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. „დიეგო ჩვენი გუნდის შემადგენლობაში პირველ შეხვედრას სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში გამართავს. მას რაც შეიძლება ხანგრძლივ ხელშეკრულებას შევთავაზებთ, თუმცა ვადებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი „ბადახოსის“ ღირსებას დაიცავს“ — განაცხადა ესპანური კლუბის პრესატაშემ. თავად მარადონას პირადმა აგენტმა გილერმო კოპოლამ კი აღნიშნა, დიეგო მთელი სერიოზულობით ემზადება და დიდი სურვილი აქვს, თავის ფეხბურთში დაბრუნება კარგი თამაშით აღნიშნოსო.

მარადონას „ბადახოსში“ გადაბირების მთავარ ინიციატორად ცნობილი არგენტინელი კომიკოსი, მარსელო ტინელი ითვლება, რომელიც ამ გუნდის ერთ-ერთი მეპატრონეა. სხვათა შორის, ტინელის კიდევ ერთი არგენტინელი ვარსკვლავის, როგორც მოედანზე, ასევე ცხოვრებაში დიეგოს მუდმივი პარტნიორის კლაუდიო კანიჯას შეძენაც აქვს გულში ამოჭრილი. ჯერჯერობით, კანიჯას პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უცნობია. მარადონა ბოლოჯერ ფეხბურთს გასული წლის ოქტომბერში დაუბრუნდა და დოპინგთან დაკავშირებული პრობლემების გამო, დიდხანს არ უთამაშია. ამის შემდგომ მას ჰქონდა წინადადებები მექსიკიდან, აგრეთვე ყოფილ კლუბ „ნაპოლიდან“, რომლის წარმომადგენლებიც დიეგოს წლის დასაწყისში შეეხმიანნენ და მოთამაშე-პრეზიდენტის თანამდებობაც კი შესთავაზეს, მაგრამ მარადონამ ეს წინადადებები უარყო. შეგახსენებთ, რომ პირველად იგი დოპინგ-კონტროლზე სწორედ „ნაპოლიში“ გამოსვლისას, 1991 წელს ჩავარდა, როდესაც კოკაინის მიღებაში ამხილეს. დიეგოს მეორე მხილება 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე მთლიანად არგენტინის ნაკრებისთვის გამოდგა დამღუპველი — გუნდი მერვედფინალში რუმინეთთან დამარცხდა 2:3. რამდენ ხანს გაგრძელდება მარადონას მორიგი დაბრუნება დიდ სპორტში, მხოლოდ თავად იცის, ისე კი, ესპანური პრესა იუწყება, დიეგო თავის მორიგ დაბადების დღეს მშვენიერ ფორმაში შეხვდება და კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ დიდი ფეხბურთელიაო. მარადონა ოქტომბერში 38 წლის ხდება.

**დავით ქოქოზირიძე**

# მე თქვენ მიყვარხართ!



REUTERS მანჩესტერიდან

ერიკ კანტონას ჩვენ ვუყვარვართ!

ეს თამაში მიუნხენის ტრაგედიის 40 წლისთავზე მემორიალური ფონდისთვის ფულის შესაგროვებლად ჩატარდა, მაგრამ რეალურად ერიკ კანტონას ბენეფისი გამოდგა.

მსახიობად ქცეული ფრანგი ცოტა ხნით ყოფილ პროფესიას, ფეხბურთელობას დაუბრუნდა და „ოლდ ტრეფორდს“, სადაც ხუთი წელიწადი ბრწყინავდა, საბოლოოდ დაემშვიდობა.

„ოლდ ტრეფორდმა“ კი თავისი გმირი მეფესავით მიიღო.

მანჩესტერის სტადიონი სავსე იყო, მის ტრიბუნებზე 55210 ადამიანი იჯდა და თვალ-ყურს ადევნებდა, როგორ გაუძლვა კანტონა მოედანზე ფეხბურთელ მეგობართა გუნდს: „იუნაიტედი“ კანტონას ვარსკვლავთა წინააღმდეგ.

ეს მეგობრები, გარდასულ დღეთა ცნობილი მოთამაშენი, უთუოდ გაიხარებდნენ მათ ირგვლივ შექმნილი ატმოსფეროთი, მატჩისწინა მღელვარებით, „სიმპლი რედისა“ და მისი სოლისტის, მიკ ჰაკნოლის ნამღერი Every time you say Goodbye (შენ მუდამ მემშვიდობები)-ითა და იმით, რომ მატჩმა ფონდისთვის მილიონები შეაგროვა.

მოედანზე იყვნენ „იუნაიტედის“ ყოფილი ვარსკვლავები ბრაიან რობსონი და მარკ ჰიუზი, აგრეთვე პოლ გესქოინი, ფრანგი ლორან ბლანი და, რასაკვირველია, თავად კანტონა.

კანტონა. კაცი, რომელიც დიდი ხანია შინ არ ყოფილა, მაგრამ აი, დაბრუნდა და.. როგორც კი ის ბურთს შეეხებოდა, „ოლდ ტრეფორდი“ ოვაციისგან ლამის ინგრეოდა.

და როდესაც შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთი დარჩა, მოხდა ის, რასაც ყველა ელოდა: კანტონამ „იუნაიტედის“ მაისურით კიდევ ერთი გოლი გაიტანა — „იუნაიტედი“ აგებდა მაგრამ 8:4 მოიგო.

მიკროფონთან მისვლამდე კანტონას კიდევ ერთი გოლის შეგდება შეეძლო. მერე კი:

— ჩემთვის დღევანდელი საღამო საგანგებოა. ჯადოსნური გრძნობა მეუფლება. გმადლობთ, რომ მობრძანდით. იმედი მაქვს, კვლავ შეგხვდებით. მაპატიეთ. წლების განმავლობაში მთელი გული ხომ მოედანზე ჩავაქსოვე. აქ საუცხოო დღეები გამიტარებია. ყველანი მიყვარხართ!

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი.

ბუნდესლიგა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ჰანზა — ვოლფსბურგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ვერდერი — ნიურნბერგი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| 22 აგვისტო | | | |
| დორტმუნდი — ჰერტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შალკე — შტუტგარტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| აინტრახტი — მიუნხენ 1860 | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ბაიერნი — დუისბურგი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,7 |
| კაიზერსლაუტერნი — გლადბახი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ფრაიბურგი — ლევერკუზენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 23 აგვისტო | | | |
| ჰამბურგი — ბოხუმი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი.

მეორე ბუნდესლიგა. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ულმი — უნტერჰახინგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მაინცი — კიოლნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ურდინგენი — კიკერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 23 აგვისტო | | | |
| ობერჰაუზენი — ვატენშაიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გიუტერსლო — ჰანოვერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ფორტუნა — ფიურტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 24 აგვისტო | | | |
| ზანქტ პაული — არმინია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კოტბუსი — კარლსრუე | 2,2 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი.

პრემიერლიგა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ჩარლტონი — საუთჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჩელსი — ნიუკასლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დერბი — უიმბლდონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლესტერი — ევერტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლივერპული — არსენალი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნოტინგემი — ქოვენთრი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტოტენჰემი — შეფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვესტ ჰემი— მანჩესტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ასტონ ვილა — მიდლსბრო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24 აგვისტო | | | |
| ლიდსი — ბლექბერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი.

პირველი დივიზიონი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ბარნსლი — სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 22 აგვისტო | | | |
| ბრისტოლი — უოტფორდი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| ბერი — ქრიუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — ოქსფორდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| გრიმსბი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ნორვიჩი — ქუინზ პარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| პორტსმუთი — იფსვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| შეფილდი — ბირმინგემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სანდერლენდი — ტრანმერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვულვერჰემპტონი — სვინდონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბრედფორდი — ბოლტონი | 3,1 | 3,0 | 2,1 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| რენი — ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მარსელი — მონპელიე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბასტია — მეცი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბორდო — ოსერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სტრასბური — პსჟ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ტულუზი — მონაკო | 4,0 | 3,1 | 1,5 |
| ლორანი — ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 23 აგვისტო | | | |
| სოშო — ლანსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ნანსი — ნანტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ბენფიკა — ამადორა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბრაგა — ბეირა მარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| 22 აგვისტო | | | |
| პორტუ — რიუ ავე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ლეცა — აკადემიკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სალგეირუში — ფარენსე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლეირია — მარიტიმუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბოავიშტა — გიმარაეში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კამპომაიორენსე — ალვერია | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 24 აგვისტო | | | |
| სეტუბალი — სპორტინგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| როსტსელმაში — ზენიტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჩერნომორეცი — ლოკომოტივი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| შინიკი — დინამო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| როტორი — ჟემჩუჟინა | 1,4 | 3,5 | 4,2 |
| ტორპედო — ალანია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ცსკა — ურალანი | 1,7 | 3,1 | 3,8 |
| სპარტაკი — კრილია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ტიუმენი — ბალტიკა | 6,0 | 3,6 | 1,4 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 აგვისტო | | | |
| ჰერენვენი — ტვენტე | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 21 აგვისტო | | | |
| სიტარდი — ფეიენოორდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 22 აგვისტო | | | |
| ვიტესი — როდა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| მაასტრიხტი — გრააფსხაპი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| კამბური — ეინდჰოვენი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| აზ 67 — სპარტა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვალვაიკი — ნაიმეგენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბრედა — უტრეხტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| აიაქსი — ტილბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ოსტენდე — სტანდარდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ეკერენი — ვესტერლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| სენტ ტრუიდენი — მუსკრონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლომელი — ბევერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ანდერლეხტი — შარლერუა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლოკერენი — გენკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლიერსი — გენტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23 აგვისტო | | | |
| ჰარელბეკი — კორტრაიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აალსტი — ბრიუგე | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### თურქეთის ჩემპიონატი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21-23 აგვისტო | | | |
| დარდანელი — გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| საქარია — ალთაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ქარაბუქი — ისთანბული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბეშიქთაში — გაზიანთეფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ტრაბზონი — ბურსა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| გალათასარაი — ქოჯაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ადანა — ფენერბაჰჩე | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ანკარაგიუჯიუ — ანთალია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| სამსუნი — ერზურუმი | 1,5 | 3,5 | 5,3 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| სელტიკი — დანდი იუნაიტედი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,8 |
| ჰართსი — აბერდინი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| კილმარნოკი — რეინჯერსი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| მოზერველი — დანფერმლაინი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 23 აგვისტო | | | |
| დანდი — სენტ ჯონსტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| გრასჰოპერი — სერვეტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლოზანა — ციურიხი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 22 აგვისტო | | | |
| იანგ ბოიზი — არაუ | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ლუგანო — სიონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქსამაქსი — ლუცერნი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| სენტ გალენი — ბაზელი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდ.



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II სამების ეკლესიაში გზა დაგვილოცა



ეპისკოპოსი ნიკოლოზი და დავით ჩანტლაძე გერგეტის ყინვარზე



გერგეტის ყინვარზე...

# ტაძარი ციდან მოფრინდა









ზაურ ქორთოშიძის ეკიპაჟმა ტაძრის დასადგმელად „უმაღლესი პილოტაჟი“ შეასრულა

ფერიცვალების ეკლესიაში ახალციხელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი პარაკლისს იხდიდა და ღმერთს ულრმეს მადლობას სწირავდა, რომ მისი იდეა განხორციელდა. იქვე ჩვენც ვიყავით ქართველ მთამსვლელთა ერთ ჯგუფთან, რომელიც მეუფეს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში დაეხმარა. მერე ყველანი ერთად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II ვეწვიეთ თავის რეზიდენციაში.

მისმა უწმინდესობამ დაწვრილებით გამოგვკითხა იმის თაობაზე, თუ „ხევის პატარძლის“ — მყინვარწვერის კალთებზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე როგორ დავდგით სამების სახელზე ტაძარი. ულრმესი მადლობა გადაგვიხადა ყველას, ვინც ამ საქმეში მეტ-ნაკლებად ვმონაწილეობდით და თავისი ხელმოწერით ბიბლიაც გვაჩუქა თითოეულს, ჩვენ კი მოსათხრობი ფოტოსურათებით ვუამბეთ და გადავწყვიტეთ, დაპირებისამებრ მკითხველსაც იგივე მასალა შევთავაზოთ ისე, როგორც ამას „სარბიელის“ ერთი გვერდი დაიტევს.



ტაძარს ზემოდან მხოლოდ ცა და მყინვარწვერი დაჰყურებს



ბიძინა გუჯაბიძემ ტაძრის დადგმა მასზე ჯვრის აღმართვით დააგვირგვინა

ჩვენთვის ყველაფერი იმით დაიწყო, რომ განვიზრახეთ მყინვარწვერის კალთებზე ავდევნებოდით ქართველ მთამსვლელებს, რომლებიც სექტემბერში ჰიმალაიზე, დედამიწის სიმაღლით მერვე მწვერვალ მანასლუზე (8156 მ) აპირებენ ლაშქრობას. მერე ისიც შევიტყვეთ, რომ ჩვენი მთამსვლელები საჰიმალაიოდ მყინვარწვერზე არა მხოლოდ ბოლო აკლიმატიზაციისა და ვარჯიშისთვის მიდიოდნენ, არამედ სამების სახელზე ტაძრის დასადგმელადაც. უფრო სწორად, მთავარი ტაძრის აღმართვა იყო, თორემ მეორე ქართული ჰიმალაის საექსპედიციო ჯგუფის წევრებმა წლეულს მეტ-ნაკლებად საკმაოდ ბევრი იარეს მყინვარწვერზეც და კავკასიონის სხვა მწვერვალებზეც.

როგორც ვიუწყებოდით, მათი ნაწილი, ბიძინა გუჯაბიძე და გელა ოთარაშვილი ბენო ქაშაკაშვილთან ერთად ამერიკაში ტექნიკურად ურთულეს ელ კაპიტანის კედელზე ავიდა, თორთლაძე კი დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე მოწყობილ რუსთა ექსპედიციაში მონაწილეობდა.

ასე იყო თუ ისე, გასულ ხუთშაბათს თბილისიდან ჰიმალაის ექსპედიციის ერთ-ერთ წევრ დავით ჩანტლაძესთან და ვეტერან მთამსვლელ, გრიგოლ სტარჩიკთან ერთად ყაზბეგისკენ გავემართეთ. იმავე დღეს სამებაზე ასულებს ილია II გზა დაგვილოცა, იქვე მყინვარწვერის ფერდობზე ტაძრის დადგმის მოთავე ეპისკოპოსი ნიკოლოზი შემოგვიერთდა და შუადღეგადასულზე გზას გავუყევით. შებინდებისას საბერწესს ავაღწიეთ და ის ღამეც კარავში გავათენეთ.

ჩვეულებრივ, ამ გზას მთამსვლელები გაცილებით სწრაფად ფარავენ და მყინვარწვერის ფერდობებზე 3600 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ერთ დროს მეტეოსადგურში, ახლა კი შპს „საბაში“ ადიან ღამის სათევად, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო არ ვჩქარობდით, მით უმეტეს, რომ დრო გვქონდა. თუმცა, ეს ჩვენ გვეგონა ასე, რადგან მეორე დღეს იქ ასვლისას, ისე რომ სული რიგიანად არც მოგვითქვამს, მეუფემ ინება მყინვარწვერის ფერდობზე ასვლა და სატაძრო ადგილის დათვალიერება.

მეუფე ნიკოლოზი, მართალია, ახალგაზრდა კაცია, მუხლიც ძლიერი აქვს, ფეხითაც ხშირად მოგზაურობს საქართველოს მთა-ბარში, შარშან სექტემბერში გერგეტის მყინვარზე ასულა და იქ ვეება, საკმაოდ მძიმე ჯვრის აღმართვაშიც მონაწილეობდა, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მთამსვლელი არ არის და მისგან ასეთი მონდომება ჩვენთვის საკვირველი იყო.

ზემოთ მიმავალ გზაზე მეტეოსადგურში დამხვდური სხვა ჰიმალაის ექსპედიციის წევრი გელა ოთარაშვილი, აგრეთვე ქუთაისელი მთამსვლელები კოტე გიორგაძე და ზურაბ ზენაიშვილიც წამოვიდნენ.

ის ღამე მეტეოსადგურში გავათენეთ, დილას კი კვლავ სატაძრე ადგილზე ავედით. ყველანი ასულებიც არ ვიყავით, როცა იქ შვეულმფრენი ამოფრინდა და ეკიპაჟის მეთაურმა ზაურ ქორთოშიძემ გვითხრა, ტაძარს, როგორც დათქმული იყო, ხვალ დილით კი არა, ახლა ამოვიტანთ, რადგან საამისოდ იდეალური ამინდია და მერე რა იქნება, ვინ იცისო.

ბედად სატაძრე ადგილი და შვეულმფრენის დასაჯდომი მოედანი იქ დამხვდურ ქუთაისელ მთამსვლელებს, მათ შორის ჰიმალაის ექსპედიციის წევრ ზურაბ ზენაიშვილსა და მის მეგობრებს, შალვა გერაძესა და მამუკა ციხისელს დაპირებისამებრ მოესწორებინათ, გაემაგრებინათ და საქმის დასაწყებად ყველაფერი მოემზადებინათ, თავად შინისკენ წასულიყვნენ და დანარჩენი საქმე ჩვენთვის დაეტოვებინათ.

ასე იყო თუ ისე, შვეულმფრენი გაფრინდა და სულ რამდენიმე წუთში ყაზბეგიდან ღრუბლებს ზემოთ ისევ ამოფრინდა. მასზე თბილისის საავიაციო ქარხანაში უსასყიდლოდ დამზადებული ტაძარი ლითონის დაწნული რკინის ბაგირით ეკიდა. კიდევ ერთი-ორი წუთიც და ტაძარი თავის ადგილზე დაეშვა, შვეულმფრენიდან კი გადმოვიდნენ მისი პროექტის ავტორი, არქიტექტორი ბიძინა მამაცაშვილი, ვეტერანი მთამსვლელი ლევ სარქისოვი და ჰიმალაის ექსპედიციის წევრი ბიძინა გუჯაბიძე.

მთელი შაბათი ბინდის ჩამოწოლამდე 700 თუ 800 -კილოგრამიანი ტაძრის 180 გრადუსით შემობრუნებას, ოთხი დაწნული ბაგირით დამაგრებას, მასზე ზარის დაკიდებას, ჯვრის აღმართვასა და საკურთხევლის მოწყობას მოვანდომეთ. მერე, რა თქმა უნდა, იყო ტაძრის კურთხევა და წირვა, იყო ალსარება და მეუფისაგან ცოდვების შენდობაც; ეს ყველაფერი იყო მართლაც ზღაპრული, ზეციური სანახაობა, რამაც თითქმის კვირის გამთენიამდე გასტანა.

დილის ბინდ-ბუნდში ყველანი ქვემოთ დავეშვით, ზემოთ კი 4000 მეტრის სიმაღლეზე დარჩა ოქროსფერჯვარაღმართული, თეთრი, თოვლივით ქათქათა ალუმინის ტაძარი, რომელშიც წმინდა სამების ხატია დასვენებული.

აქ მომავალში სალოცავად ივლიან მთამსვლელი და არამთამსვლელი ქრისტიანები.

ტაძარი ესე არის მთელს ევროპაში ყველაზე დიდ სიმაღლეზე აღმართული ქრისტიანული ნაგებობა. მასზე ზემოთ ქრისტიანული ტაძრები არის მხოლოდ ოკეანესგაღმა, ბოლივიაში. მისი ფაქტობრივი დედაქალაქი ლა-პასი ზღვის დონიდან 4100 მეტრის სიმაღლეზეა. იგი ჩვეულებრივი ქალაქური ცხოვრებით ცხოვრობს თავისი სკვერებით, ბაღებითა და შადრევნებით, ჩვენთან და დანარჩენ მსოფლიოში კი ასეთ სიმაღლეზე მარადთოვლიანი, მიუვალი მთებია. ასეთ მთებში სხვაგან არსად მოიძებნება ქრისტიანული ტაძარი.

და ბოლოს, მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს კეთილი საქმე შესაძლებელი გახდა შპს „ომეგას“ ფინანსური დახმარებით.

**ავთანდილ გურასაშვილი**
**მყინვარწვერი-თბილისი**
**ავტორის ფოტოები**



მეუფე ნიკოლოზმა და ტაძრის დამდგმელმა მთამსვლელებმა ბოლოს სამახსოვრო სურათი გადაიღეს

## მძლეოსნობა

დასაწყისი პირველ გვერდზე

# შავი ლამაზმანის ევროპა

დიდი სიმძაფრით განსაკუთრებით ქალთა გარბენები გამოირჩეოდა. ნახევარფინალურ ეტაპზე ულამაზესი აღნაგობის მქონე ფრანგმა კრისტინ არონმა სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა 10.80. მას არც ტრადიციული კონკურენტები რუსი ირინა პრივალოვა და უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩი ჩამორჩნენ და ცხადი გახდა, რომ ფინალში განუმეორებელი ბრძოლის მოწმენი შევიქნებოდით.

გადამწყვეტი გარბენის დაძაბულობაზე ისიც მეტყველებს, მონაწილეები მღელვარებას ძლივს რომ იოკებდნენ და ორი ფალ-სტარტიც გააკეთეს. თუმცა, როგორც იქნა, სპორტსმენებმა არბიტრს ნიშნის მიცემა ყოველგვარი წესის დარღვევის გარეშე აცალეს და სანახაობაც დაიწყო. თავიდან არონმა რატომღაც ძალზე ცუდი სტარტი აიღო, რითაც პრივალოვამ ისარგებლა და საკმაო მანძილითაც დაწინაურდა. რუსი თითქმის დისტანციის ბოლომდე ლიდერობდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ოქროს მედალსაც ის ირგუნებდა, მაგრამ ჩამორჩენილმა ფრანგმა საიდანღაც ძალები მოიკრიბა, თვალის დახამხამებაში უკან ჩამოიტოვა კონკურენტები და ზედ ფინიშის ხაზთან პრივალოვას გადასწრებით სანუკვარ ჩემპიონობას დაეუფლა.

თანაც გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. ფეხზეწამომდგარი გულშემატკივრები აღფრთოვანებით შეჰყურებდნენ სტადიონის ტაბლოს, რომელზეც არონის მიერ ნაჩვენები დრო კიაფობდა 10.73 — ოთხი მეასედი წამით გაუმჯობესებული ევროპის ახალი რეკორდი!

ქალების მიერ დატრიალებული ცეცხლი ვაჟებსაც გადაედოთ. მართალია, 100 მეტრზე მორბენლებმა ტრიუმფატორი არონისგან განსხვავებით საუკეთესო შედეგები ვერ აჩვენეს, მაგრამ დაძაბულობა და სილამაზე არც მათი მონაწილეობით გამართულ გარბენს აკლდა.



REUTERS ბუდაპეშტიდან

ტიბორ გესჩეკი

ძირითადი ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრიტანელ ათლეტებს შორის გაჩაღდა. მართალია, საკვალიფიკაციო გარბენებში საუკეთესო დრო დუაინ ჩემბერსს ჰქონდა, მაგრამ ფინალში ახალ ლინფორდ კრისტად შერაცხულმა დარენ კემპბელმა იმარჯვა, რომელსაც ახლა ოქროს მედალოსნობასთან ერთად შეუძლია სეზონის უსწრაფესი დროის ჩვენებითაც მოიწონოს თავი.



REUTERS ბუდაპეშტიდან

დარენ კემპბელი



REUTERS ბუდაპეშტიდან

ტანია დამასკე

ჯერ კიდევ შებინდებამდე, თუკი გერმანელი შუბის მტყორცნელი ტანია დამასკესა და რუსი სიგრძეზე მხტომელი კირილ სოსუნოვის გამარჯვებებს მაყურებლებს შორის დიდი აღტაცება არ გამოუწვევია, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით მზის ჩასვლის შემდეგ გამართულ ვაჟუროს მტყორცნელთა შეჯიბრზე. მასპინძელთა გასახარად, ოქრო-ვერცხლი ამ სახეობებში უნგრელებმა — ტიბორ გესჩეკმა და ბოლაშ კიშმა მოიპოვეს, რითაც თანამემამულეთა თვალში ჩემპიონატის გმირების სახელი ირგუნეს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 10 კილომეტრზე ქალთა რბენა. ცნობილი ირლანდიელი სონია ო'სალივანი, რომელსაც გასულ ევროპის პირველობაზე 3 ათას, ხოლო 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 5 ათას მეტრ დისტანციაზე ბადალი არ ჰყავდა, ბუდაპეშტში აშკარა ფავორიტის როლში გახლდათ ჩასული. 29 წლის გამოცდილმა სტაერმა იმდენად გააზრებულად და ტაქტიკურად საუცხოოდ ორგანიზებულად წარმართა გარბენი, რომ მასში უძნელეს ბრძოლებში გამობრძმედილ დიდოსტატს მძლეოსნობაში გაუთვითცნობიერებული კაციც კი ადვილად ამოიცნობდა.

ირლანდიელმა მთელი დისტანცია პორტუგალიელი ფერნანდა რიბეიროსა და იუგოსლავიელი ოლივერა იევტიჩის ზურგსუკან გაატარა. ო'სალივანი მეტოქეთა სისუსტეებს კარგად აკვირდებოდა, ხოლო როცა ფინიშის ხაზამდე სულ რაღაც 150 მეტრი იყო დარჩენილი, ტემპს საგრძნობლად უმატა და ამ მცირე მანძილზე იმხელა უპირატესობა მოიპოვა, რომ ლამაზი ბრძოლის მოლოდინში განაბულ ქომაგებს ერთგვარად ხასიათიც კი წაუხდინა.

შეჯიბრების მეორე დღეს ძალები ათჭიდელებმაც მოსინჯეს. მათ აქამდე ხუთ სახეობაში გაჯიბრება მოასწრეს, რის შემდეგაც პირველი სამეული ასე გამოიყურება: 1. ჰემილაინენი (ფინეთი) 4,484 ქულა; 2. მაგნუსონი (ისლანდია) 4,473 ქულა; 3. ნოლი (ესტონეთი) 4,470 ქულა.

დღეს ჩემპიონატზე მედლების მორიგი კომპლექტები გათამაშდება. ქალებს შორის: ბირთვის კვრაში, 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, 800 მეტრზე სირბილსა და სამხტომში, ვაჟებს შორის: 1500-მეტრზე სირბილში.



REUTERS ბუდაპეშტიდან

კირილ სოსუნოვი

**ირაკლი ხმელიძე**

### ტექნიკური შედეგები

შუბის ტყორცნა. ქალები

1. ტანია დამასკე (გერმანია) 69.10 მ; 2. ტატიანა შიკოლენკო (რუსეთი) 66.92; 3. მიქაელა ინგბერგი (ფინეთი) 64.92.

100 მეტრზე რბენა. ქალები

1. კრისტინ არონი (საფრანგეთი) 10.73 (ევროპის რეკორდი); 2. ირინა პრივალოვა (რუსეთი) 10.83; 3. ეკატერინა ტანოუ (საბერძნეთი) 10.87.

სიგრძეზე ხტომა. ვაჟები

1. კირილ სოსუნოვი (რუსეთი) 8.28 მ; 2. ბოგდან ტარუსი (რუმინეთი) 8.21; 3. პეტკო დაჩევი (ბულგარეთი) 8.06.

10 000 მეტრზე რბენა. ქალები

1. სონია ო'სალივანი (ირლანდია) 31 წუთი 29.33 წამი; 2. ფერნანდა რიბეირო (პორტუგალია) 31:32.42; 3. ლიდია სიმონი (რუმინეთი) 31:32.64.

100 მეტრზე რბენა. ვაჟები

1. დარენ კემპბელი (ბრიტანეთი) 10.04; 2. დუაინ ჩემბერსი (ბრიტანეთი) 10.10; 3. ჩარალამბროს პაპადიასი (საბერძნეთი) 10.17.

უროს ტყორცნა. ვაჟები

1. ტიბორ გესჩეკი (უნგრეთი) 82.87; 2. ბალაშ კიში (უნგრეთი) 81.26; 3. კარსტენ კობსი (გერმანია) 80.13.

## იუბილე

# შევარდენი ისევ მხნეა

რვა ათეული წელიწადი მიილია მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველი სპორტსაზოგადოება შეიქმნა — 1918 წელს გიორგი ნიკოლაძისა და გიორგი ეგნატაშვილის თაოსნობით დაარსებული „შევარდენი" წლეულს 80 წლისა გახდა. ასეთი ასაკოვანი არათუ სპორტსაზოგადოება, არამედ ორგანიზაციაც კი ძნელად მოიძებნება საქართველოში.

სიტყვა „სპორტსაზოგადოება" თავისთავად გულისხმობს იმას, რომ „შევარდენში" არა ერთი, კონკრეტული, არამედ სპორტის სხვადასხვა სახეობის მიმდევრები არიან გაერთიანებული. სხვების რა მოგახსენოთ და, მოჭიდავეებმა და მთამსვლელებმა კი მართლაც ღირსეულად აღნიშნეს „შევარდენის" იუბილე — სვანეთში, ბანაკ „ზესხოდან" მწვერვალ მარჯანიშვილზე ავიდნენ საქართველოში მთამსვლელობის ერთ-ერთი ფუძემდებლები — 72 წლის გივი წერედიანი, ასევე 72 წლის შალვა მარგიანი და მათზე 12 წლით უმცროსი ზაქრო მუშკუდიანი.

მარჯანიშვილის პიკი დალაშქრა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ხელმძღვანელმა ბერდია გუგავამ, ასევე კლუბის სპორტსმენებმა: ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მრავალი ტურნირის გამარჯვებულმა დათო ხახალეიშვილმა, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების პრიზიორებმა სოსო ლიპარტელიანმა, ნესტორ ხერგიანმა, მევლუდ ლობჟანიძემ, გია გუგავამ და სხვებმა. მწვერვალზე ასვლებს ხელმძღვანელობდა გამოცდილი მთამსვლელი, წარსულში საქართველოს მთამსვლელთა ნაკრების წევრი ვალოდია ქურასბედიანი.

უკლებლივ ყველა მონაწილემ, მათ შორის ზემოჩამოთვლილმა შვიდ ათეულ წელს გადაცილებულმა ვეტერანებმაც, მწვერვალს უწიეს, რითაც მოკრძალებულად, მაგრამ ამავდროულად შთამბეჭდავად აღნიშნეს „შევარდენის" იუბილე.

**ლაშა გოდუაძე**

## ჩოგბურთი

# მერი ჯოს მარი აარჩევდა

მონრეალი.
კანადის ღია პირველობა.
საპრიზო 926 250 $

ტურნირის მეორე დღეს მოულოდნელობები თითქმის არ მომხდარა თუ არ ჩავთვლით ორი განთესილის გავარდნას. ფავორიტთაგან არ გაუმართლათ ლაიზა რეიმონდს (17, აშშ) და ფრანგ მარი პირსს (13). რეიმონდმა თანამემამულე კორინა მორარიუსთან პირველი სეტის 6:7 წაგების შემდეგ მეორეში იოლად 6:1 იძალა, თავი ქუდში ეგონა, მეტოქე ღირსეულად ვერ შეაფასა და მესამე სეტის 2:6 წაგების შემდეგ ტურნირსაც გამოეთხოვა. შინ ნაადრევად გამგზავრებული მეორე განთესილი მარი პირსი ერთ დროს ათეულში შემავალმა ამერიკელმა მერი ჯო ფერნანდესმა იმსხვერპლა 6:1, 6:1. სხვა ფავორიტთაგან მხოლოდ ესპანელ კონჩიტა მარტინესს (6) და რუმინელ ირინა სპირლეას (9) გაუჭირდათ მათზე სუსტების ძლევა. იოლად იმარჯვა მსოფლიოს ექსპირველმა ჩოგანმა, ტრავმებითა თუ პირადი პრობლემებით შეჭირვებულმა შტეფი გრაფმა. მეშვიდე ნომრად განთესილი გერმანელი იოლად, სულ რაღაც 41 წუთში გაუსწორდა ესპანელ ვირჯინია რუანო-პასკალს (6:0, 6:1). ამ მოგებით გრაფმა ერთობ გაიხარა, მით უმეტეს, რომ ერთ დროს უძლეველმა გერმანელმა ბოლო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ მესამედ მოიგო, წინა მარცხთა მიზეზად კი ეს მოიტანა: სან დიეგოში და პოლ ალტოში დევივით ლინდსი დევენპორტთან და იაპონელ აი სუგიამასთან იმიტომ წავაგე, რომ სამ-სამ სეტიან მატჩებში ძალები ბოლომდე არ მეყოო. ასევე იოლად მოიგო კიდევ ერთმა ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მონიკა სელეშმა (5). მან ამერიკელი ტარა სნიდერის 6:2, 6:1 ძლევას გრაფზე ცოტა მეტი დრო, 50 წუთი მოანდომა.

**პირველი წრე:** სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) — რეიჩელ მაკუილანი (ავსტრალია) 6:1, 6:3; კიმბერლი პო (აშშ) — ტამარინე ტარასუგარნი (ტაილანდი) 6:1, 7:6; ამანდა კუტცერი (8, სამხრეთ აფრიკა) — ფენგ ლი (ჩინეთი) 6:3, 6:4; ირინა სპირლეა (9, რუმინეთი) — სონია ჯიესილენდი (კანადა) 6:7, 7:6, 6:0; აი სუგიამა (16, იაპონია) — მარია ალეხანდრა ვენტო (ვენესუელა) 6:4, 6:0.



REUTERS მონრეალიდან

მარი პირსი

აშშ. ინდიანოპოლისი.
საპრიზო 1 მილიონი $

ტურნირის მეორე დღეს მეორე წრეში ორმა განთესილმა — ტომას მუსტერმა და უეინ ფერეირამ გააღწია. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, თიხნარის სპეციალისტმა ტომას მუსტერმა (12) ამერიკელ პოლ გოლდშტეინის 6:2, 6:2 დამარცხებას საათიც არ მოანდომა. მისგან განსხვავებით ჭორფლიანმა სამხრეთაფრიკელმა უეინ ფერეირამ (14) ძლივს, 6:4, 7:6 სძლია უცნობ კანადელს დანიელ ნესტორს. სამაგიეროდ, გავარდა მე-16 ნომრად განთესილი იტალიელი ანდრეა გაუდენცი, რომელიც თვისტომსავე ჯანლუკა პოცის ემსხვერპლა. პოციმ პირველი სეტის დიდი ძალდატანებით 7:6 მოგების შემდეგ მეორეში გულგატეხილი გაუდენცის წინააღმდეგობა იოლად 6:1 დაძლია.

მეორე წრე მეორე ნომრად განთესილ კარლოს მოიასა და შვედი ტომას იოჰანსონის შეხვედრით დაიწყო. შვედმა, შეიძლება ითქვას, სენსაცია მოახდინა და საათისა და 41 წუთში სძლია განთესილ ესპანელს. გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის გამართვა გახდა საჭირო, თან მოიამ პირველი სეტის პირველი სამი გეიმი მოიგო, მაგრამ მერე შვედს ძალიან შეუთამამდა და პირველი სეტის მოგება მხოლოდ ტაიბრეიკში მოახერხა, მეორე სეტი კი 0:6 წააგო. ამას მესამე გადამწყვეტი სეტიც მოაყოლა და შინ იმაზე ადრე გაემგზავრა, ვიდრე წარმოედგინა.

**ირაკლი ფირაშვილი**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ონისე შენგელაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი; დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29